ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

9 ივლისი სამშაბათი 1991 № 79 (11712)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


## ღრმად პატივცემულ ზვიად გამსახურდიას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს

ძვირფასო პრეზიდენტო!

წარმოგიდგენთ ერთობლივ რეზოლუციას, რომელიც სამხრეთ კაროლინის სენატმა მიიღო, რათა სცნოს საქართველოს რესპუბლიკა, რომელმაც ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გამოაცხადა საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობა.

ჩვენ, სამხრეთ კაროლინის სენატი, მივესალმებით თქვენს გამბედაობასა და თავდადებას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

გულწრფელად თქვენი,
ჯონ ვილსონი
შტატის სენატორი.

## სენატის რეზოლუცია

**სენატის** წევრები ულოცავენ საქართველოს რესპუბლიკის ხალხს და პარლამენტს 1991 წ. 9 აპრილს საბჭოთა კავშირისაგან რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

ვინაიდან სენატის წევრებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საქართველოს პლებისციტიდან, რომლის მონაწილეთა 98 პროცენტმა ხმა მისცა დამოუკიდებლობას და ვინაიდან, კენჭისყრის თარიღის შერჩევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ეს მოხდა საბჭოთა ჯარების მიერ ცხამეტი ქართველი მშვიდობიანი დემონსტრანტის სასტიკი მკვლელობის მეორე წლისთავზე და

ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ საზეიმო სიტყვაში განაცხადა, რომ ეს კენჭისყრა არ ნიშნავს საბჭოთა კავშირიდან გასვლას დე ფაქტო, რომ ეს მხოლოდ ორი ან სამი წლის შემდეგ მოხდება რიგი კანონიერი ნაბიჯების გადადგმით სრული თვითმმართველობის დასამკვიდრებლად და

ვინაიდან დამოუკიდებლობისათვის ხმის მიცემა არის პირველი ნაბიჯი 1921 წ. ბოლშევიკური ჯარების მიერ ოკუპირებული რესპუბლიკის განთავისუფლების გზაზე და

ვინაიდან მიზანშეწონილია, რომ სენატის წევრებმა დროებით შეწყვიტონ მიმდინარე საკითხების განხილვა, რათა მიულოცონ ქართველ ხალხს და პარლამენტს, რომელთაც წამოიწყეს დამოუკიდებლობის დაბრუნების ისტორიული პროცესი, ამდენად სენატი ადგენს:

სენატის წევრები ულოცავენ საქართველოს რესპუბლიკის ხალხს და პარლამენტს, რომელმაც 1991 წ. 9 აპრილს ერთსულოვნად მისცა ხმა საბჭოთა კავშირისაგან რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

დადგინდა აგრეთვე, რომ ამ რეზოლუციის ასლი წარედგინოს მის აღმატებულებას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას.

საქინფორმი

# ახალი პარტია თუ მოდერნიზებული სკპ?!

### ახლახან საკავშირო პრესაში გამოქვეყნდა ცნობილ საბჭოთა პოლიტიკურ მოღვაწეთა მიმართვა

მიმართვა მოუწოდებდა „ყველა მოაზროვნე და მოქალაქეობრივად პასუხისმგებელ" ადამიანს გაერთიანებულიყვნენ „დემოკრატიული რეფორმების მოძრაობაში", რომლის მიზანიცაა „დაუბრუნოს ხალხს ყველაფერი ის, რაც მას წაართვეს: გლეხს — მიწა, მუშას — აუნაზღაურებელი ნაშრომი, მისი შრომის შედეგი, აქციოს იგი ქარხნებისა და ფაბრიკების მესაკუთრედ. ინტელიგენციას — უფლება საკუთარი ინტელექტუალურ საკუთრებაზე. ოფიცრებს — სამშობლოს დამცველთა სიამაყე. მორწმუნეს — ეკლესია, ხალხებს — მათი კულტურა, ტრადიციები, მათი ისტორია, ისტორიული ხსოვნა.

მიმართვას ხელს აწერენ არკადი ვოლსკი, გავრიილ პოპოვი, ალექსანდრ რუცკოი, ანატოლი სობჩაკი, სტანისლავ შატალინი, ედუარდ შევარდნაძე, ალექსანდრ იაკოვლევი, ივან სილაევი, ნიკოლაი პეტრაკოვი, რომლებსაც მიაჩნიათ, რა, რომ „...ტოტალიტარული სისტემის რღვევამ არ უნდა მიგვიყვანოს ხალხებს შორის ისტორიულად შექმნილი კავშირების დარღვევამდე", თვლიან, რომ „უნიტალური საბჭოთა კავშირის ერთადერთი გონივრული ალტერნატივა შეიძლება იყოს მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც სუვერენული ხალხების ნებაყოფლობითი კავშირის საფუძველზე შეიქმნება". და ამიტომაც მხარს უჭერენ „ნოვო-ოგარიოვოს პროცესს, შეთანხმებას „9 + 1", როგორც ჩვენი მრავალეროვანი თანამეგობრობის ხანის, მისი ახალი სახის სახელმწიფოდ შენარჩუნების შესაძლებლობას".

მიმართვის ავტორები მოუწოდებენ: „უახლოეს დროში შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც, რესპუბლიკებსა და რეგიონებში დემოკრატიული მოძრაობებისა და პარტიების გაერთიანების მიზნით, მოამზადებს დამფუძნებელ კონფერენციას 1991 წლის სექტემბრისათვის.

რაც შეეხება მოძრაობის ორგანიზაციულ ფორმას, მაგალითად, პარტიის შექმნას, ეს დამფუძნებელმა კონფერენციამ უნდა გადაწყვიტოს".

მაშ ასე, ახალი ტიპის პარტიის, დემოკრატიული სუპერპარტიის" შექმნა, რომელზეც ამ ბოლო დროს ამდენს წერდნენ და ლაპარაკობდნენ, შემოდგომისათვის გადაიდო.

პრეისტორია კი ასეთია: ამ ცოტა ხნის წინათ პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია ახალი პარტიის მექანიზმის თაობაზე. საინიციატივო ჯგუფმა (ა. იაკოვლევი, ე. შევარდნაძე, გ. პოპოვი, ა. სობჩაკი და ა. ვოლსკი) უარი თქვა ამ პარტიის სკპ-ს, უფრო. სწორად კი მისი დემოკრატიული ფრთის ბაზაზე შექმნის ცდებზე და მის საფუძვლად უკვე არსებული რუსეთის დემოკრატიული პარტიის (ორგანიზაციულად ერთ-ერთი ყველაზე უფრო ჩამოყალიბებული პარტიის) სტრუქტურებს აიღებდნენ. ამ პარტიის ლიდერთან ნიკოლაი ტრავკინთან წინასწარი მოლაპარაკებაც შედგა. საინიციატივო ჯგუფი კოალიციაში რუსეთის რესპუბლიკელებისა და სოციალ-დემოკრატების ჩართვასაც ვარაუდობდა. ერთი სიტყვით, ახალი გაერთიანებული დემოკრატიული პარტია უმალ იძენდა განშტოებულ სტრუქტურებს, ხოლო პარტიაში ახალი წევრების მასობრივ მოსვლას მისი დამფუძნებლების ავტორიტეტის დახმარებით ვარაუდობდნენ.

მართალია, ამჟერად სკპ-ს პირდაპირი გათიშვა არ მოხერხდა, მაგრამ, ალბათ, გარკვეულად მაინც, იგულისხმებოდა, რომ იაკოვლევის, შევარდნაძის, ვოლსკის, სახელები სკპ-დან მის რეფორმისტულად განწყობილ ნარჩენებსაც გამოიწვევდა.

ამრიგად, სქემა საკმაოდ გამართული და ლოგიკური იყო. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ძალზე ცოტა რამ ხდება ლოგიკის კანონების მიხედვით და „ნორმალური გმირები ყოველთვის შემოვლით დადიან". პრესაში გამოქვეყნებული ზემოთნახსენები მიმართვაც იმის დასტურია, რომ ახალი პარტია ვერ შედგა.

რა მოხდა?

ნიკოლაი ტრავკინმა უარი განაცხადა ხელი მოეწერა მიმართვაზე და მისი ავტორების — „ცხრათა" — განკარგულებაში საკუთარი პარტიის გადაცემაზე. ასევე ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა სოციალ-დემოკრატებისა და რესპუბლიკელების ლიდერებთან. მოგვიანებით თავისი ხელმოწერა მოხსნა შატალინმაც.

სამაგიეროდ, ხელისმომწერთა შორის სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა პოლკოვნიკ რუცკოის გვარი, რომელიც რუსეთში სათავეში უდგას მოძრაობას „კომუნისტები დემოკრატიისათვის". ამ ფაქტმა და, აგრეთვე, რამდენიმე დამფუძნებლის მიერ სკპ-ს დატოვებაზე უარის თქმამ ტრავკინს გაუჩინა ეჭვი, რომ ადგილი აქვს სკპ-ს რეფორმირების მცდელობას, რაში მონაწილეობაზეც მან გამოკვეთილი უარი განაცხადა. სოციალ-დემოკრატებისა და რესპუბლიკელების ლიდერებმა კი არ ისურვეს ისე შეერწყმოდნენ ახალ პარტიას, რომ ხელთ არ ჰქონოდათ მისი გამოკვეთილი სამოქმედო პროგრამა.

ასე რომ, საქმე ისე ხდება, რომ ჯერჯერობით სადღეისოდ საქმე მხოლოდ დეკლარაციაა, რომლის დანიშნულებაზეც, დემოკრატიული რეფორმების გატარების მიზნით ფართო სახალხო მოძრაობის შექმნაა. პარტიის შექმნა კი შემოდგომისათვის გადაიდო.

რას ფიქრობენ:

**ნიკოლაი ტრავკინი:**

— მე ასე არ ვთამაშობ. ჯერ ერთი, მთელი ამ საქმის მზადების პერიოდში ლაპარაკი იყო დემოკრატიული პარტიის და არა მოძრაობის შექმნაზე. და მეორეც, თავიდანვე არსებობდა შეთანხმება, რომ ამ პროცესის ყველა ინიციატორი დატოვებდა სკპ რიგებს. ახლა კი ამის თაობაზე სიტყვასაც აღარავინ ძრავს. მეტიც, ისიც კი გამოაცხადეს, რომ ამ მოძრაობას სკპ-დან გასასვლელადაც შეიძლება მხარი დაუჭირო. მაგრამ ეს ხომ რეფორმირებული სკპ იქნება და არა დემოკრატიული მოძრაობა, მითუმეტეს — პარტია. მე ამ თამაშში არ ვმონაწილეობ.

**რესპუბლიკელები და სოციალ-დემოკრატები:**

— რეგიონალურ, ადგილობრივ დონეზე აბსოლუტური შეთანხმებაა. მაგრამ რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელები წინააღმდეგნი არიან, სოციალ-დემოკრატების ლიდერები კი ორად გაიყვნენ: ერთნი მხარს უჭერენ ამ იდეას, მეორენი — არა...

**მიმართვის ავტორები:**

— მოსკოვეტში გამართულ პრესკონფერენციაზე ვოლსკიმ, პოპოვმა, შევარდნაძემ, სობჩაკმა და პეტრაკოვმა ხაზი გაუსვეს, რომ მეთვალყურეთა და დემოკრატიის მომხრეთა ერთი ნაწილის განცხადება იმის გამო, რომ შეიქმნა მოძრაობა და არა პარტია, ნაადრევია. საბოლოო გადაწყვეტილებას პარტია შეიქმნება თუ მოძრაობა, ხომ შემოდგომაზე მიიღებს დამფუძნებელი კონფერენცია. ამასთან თავად ინიციატორები: შევარდნაძე, პოპოვი, სობჩაკი, პარტიის შექმნის მომხრენი არიან.

ითქვა ისიც, რომ დემოკრატიული მოძრაობა იმოქმედებს კავშირის მასშტაბით და კარს გაუღებს იმ რესპუბლიკების დემოკრატიულ ძალებსაც, რომლებიც არ მონაწილეობენ ნოვო-ოგარიოვოს პროცესში.

რაც შეეხება მოძრაობაში სკპ წევრების მონაწილეობას, ე. შევარდნაძის აზრით, სანამ ლაპარაკია მოძრაობაზე, მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, მიუხედავად პარტიულობისა, შემოდგომაზე კი, როცა მოძრაობა პარტიაში გადაიზრდება, მისი წევრობაც უფრო გამკაცრდებაო (თავად შევარდნაძემ ამ დღეებში განაცხადა, რომ გადის სკპ-დან).

ანატოლი სობჩაკი კი თვლის, რომ მოძრაობა არ უნდა გაემიჯნოს რიგით კომუნისტებს, რადგან იმ დროს, როცა სკპ-ს სხვადასხვა დონის ხელმძღვანელები ერთმანეთს რეაქციონერობაში ეჯიბრებიან, რიგითი კომუნისტების ნაწილი, რომელსაც შეგნებული აქვს რეფორმების აუცილებლობა, მზად არის ჩაერთოს ამ მოძრაობაში და მას ამის უფლება არ უნდა წავართვათო.

**სსრკ პრეზიდენტი:**

— ...ინიციატორების დაპირებიდან ჩანს, რომ „მოძრაობას" არ აქვს კონფრონტაციული ხასიათი. პირიქით, ის გაერთიანებისაკენ მოუწოდებს ყველა მოძრაობას, ყველა ადამიანს, პარტიასა თუ ფრაქციას, ყველას ვისაც გული შესტკივა „პერესტროიკაზე", ქვეყანაში ჩვენს წარმატებაზე. თუ ჩვენ ასე გვესმის „მოძრაობა", მაშინ ეს პოზიტიური მომენტია.

სსრკ პრეზიდენტის ეს მოსაზრება ჟურნალისტებს მიაწოდა პრეზიდენტის პრეს-მდივანმა ვ. იგნატენკომ და ისიც დასძინა, რომ მართალია, სსრკ პრეზიდენტისათვის მოულოდნელი არ ყოფილა მოძრაობის შექმნა, რადგან მისი ინიციატორები საკმაოდ დიდ და ფართოდ მსჯელობდნენ მის გარშემო, მაგრამ პრეზიდენტი ამ საქმეში მრჩეველი ან კონსულტანტი ვერ იქნებოდა.

**მომზადებულია „იზვესტიის" და „კომსომოლსკაია პრავდას" მასალების მიხედვით.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოლი მეტოქის კარში

6 ივლისს სამხრეთ ოსეთისა და მის ირგვლივ არსებული მდგომარეობის ნორმალიზაციის მიზნით შექმნილი პარლამენტთაშორისო კომისიის წევრებმა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებმა **ნოდარ ნათაძემ და გელა ჩორგოლაშვილმა** მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებისათვის გამართეს პრესკონფერენცია, რომელიც მიჰყავდა უზენაესი საბჭოს წევრს **ალექსანდრე ქობულაშვილს.**

პატივცემულო მკითხველო, ჩვენ არაფერი შეგვშლია, როცა ვიხმარეთ ამჟამად უკვე ანაქრონიზმად ქცეული ტერმინი „სამხრეთ ოსეთი". სწორედ ასეა ჩაწერილი კომისიის დასათაურებაში, რომელიც შეიქმნა სსრკ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით და, ცხადია, ფორმულირებაც მას ეკუთვნის. სწორედ ეს დასათაურება იქცა პრესკონფერენციაზე მსჯელობის ერთ-ერთ საკითხად. როგორც ბატონმა გ. ჩორგოლაშვილმა განმარტა, ჩვენის მხრივ ეს კომპრომისი დღევანდელობით გამართლებულია, მისი შეცვლისათვის დაჟინება ახლა უფრო გაამწვავებს მდგომარეობას. ჩვენთვის კი ახლა მთავარია ის რეზულტატი, რომელიც გარკვეულად უკვე მოიტანა კომისიის მუშაობამ და რომელსაც ველით უახლოეს მომავალში. ობიექტურობის დაცვის მიზნით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბატონი ნ. ნათაძე არ იზიარებს ამ მოსაზრებას. საერთოდ შევნიშნავთ, რომ კომისიაში ჩვენ ორ წარმომადგენელს, გ. ჩორგოლაშვილსა და ნ. ნათაძეს შორის არ არის ყველა საკითხზე ერთიანი აზრი. ამას ბატონმა ნოდარმა ხატოვნად ბურთით და უბურთოდ თამაში უწოდა, მაგრამ ის, რომ ერთიც და მეორეც საბოლოოდ მოწინააღმდეგის კარში გოლის გატანას უწყობს ხელს, გვაიმედებს (ეს ითქვა კიდეც პრესკონფერენციაზე), რომ ძირითად, პრინციპულ საკითხებზე მათი აზრი ერთიანი იქნება, და სრულად იქნება დაცული საქართველოს ინტერესები და ის პოლიტიკური სტრატეგიული კურსი, რომელსაც დღეს ატარებს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება ჩვენთვის ამ მნიშვნელოვან საკითხში.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, პარლამენტთაშორისო კომისიასთან საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა და რეგიონის მოსახლეობის წარმომადგენლების პარიტეტულ საწყისებზე იქმნება საკოორდინაციო კომიტეტი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იქნება, კოორდინაცია გაუწიოს, ხელი შეუწყოს სახელმწიფო ორგანოთა მუშაობას, რათა რეგიონში აღდგეს სამეურნეო საქმიანობა და რეგიონის მცხოვრებთათვის შეიქმნას ცხოვრების ნორმალური პირობები.

**მერაბ დავითიძე**

# ქართველ საზოგადოებას!

**მოგმართავთ** ყველას — რიგით მოქალაქეებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს, წმინდა მართლმადიდებელ ეკლესიას!

ცხრა აპრილის ტრაგედიამ ამ რამდენიმე თვის წინათ კიდევ ერთი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა და ჩვენ ყველას გვზარავს ფიქრი: ვინ იქნება შემდეგი? ამჟამად მოწამლულთა რიცხვია 1256, ამათგან ორი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია. ახლა დგას საკითხი ერთი მათგანის, 18 წლის მოსწავლის **ნინო ვიქტორის ასულ მჭედლიძის** გადარჩენისა. მას სასწრაფოდ უნდა გაუკეთონ ძვლის ტვინის გადანერგვის ოპერაცია საზღვარგარეთ, დონორად დედა მიჰყვება. მაგრამ არ არის სახსრები, ვერ შეუძენიათ ვალუტა. თავის დროს ჩამოყალიბდა 9 აპრილის საზოგადოება, რომელმაც, შეწირულების სახით, საკმაოდ დიდი თანხა მიიღო, მაგრამ შემდეგ ეს საზოგადოება დაიშალა და, როგორც ჩანს, შეწირული ფული სხვა საქმეს მოხმარდა. ამჟამად მოქმედებს „ცხრა აპრილს მოწამლულთა დახმარების კომიტეტი". მე შევხვდი ამ კომიტეტის რამდენიმე წევრს და, უნდა გულახდილად ვთქვა, რომ მათი მძიმე განწყობილება მეც გადმომედო. ეს ახალგაზრდები არავის საყვედურობენ, მაგრამ გულნატკენნი არიან, თვლიან, რომ ისინი თითქმის დაივიწყეს. მათ მიამბეს, რომ ერთი ახალგაზრდა — ანტონ მერაბიშვილი ახლა დაბრუნდა ჰოლანდიიდან, სადაც მას ძვლის ტვინის გადანერგვის ოპერაცია გაუკეთა პროფესორმა ჰარარმა. ჭაბუკი გადარჩა. პროფესორი დაპირდა, რომ ჩამოვა საქართველოში და შეამოწმებს მის ჯანმრთელობას, ხოლო შემდეგ, თუ საჭირო აღმოჩნდა, თავისი ხარჯით წაიყვანს მკურნალობის გასაგრძელებლად (როგორც მითხრეს, ამ ავადმყოფს კომიტეტმა 1500 დოლარი გაატანა, მაგრამ მოსკოვის საბაჟომ 500 დოლარი ჩამოართვა, „როგორც ყალბი", 1000 დოლარის გადამალვა კი მოახერხეს). მაგრამ პროფესორ ჰარარის მსგავსი ფილანტროპები ცოტანი არიან. მკურნალობას კი დიდი თანხა სჭირდება. ქართველ საზოგადოებას გულგრილობას ვერ დავწამებთ, მან ყოველთვის გაიღო თავისი წვლილი, როდესაც ამას ქვეყნის საჭიროება მოითხოვდა. ახლაც ძალიან გვიჭირს, მიწისძვრით გამოწვეული სტიქიური უბედურებების შემდეგ, კინაღამ გადავიფიქრე ამ მიმართვის დაწერა. მაგრამ მე მჯერა ქართველი ხალხის სათნოებისა, დიდსულოვნებისა და ამიტომ ვბედავ მივმართო მას: ყოველთვიურად, ერთი წლის მანძილზე მაინც, გავიღოთ თუნდაც სულ მცირე თანხა 9 აპრილს მოწამლულთა ფონდისათვის, ახლა კი ერთდროულად, ვისაც რამდენი შეუძლია, ფული შეიტანოს ნინო მჭედლიძის სახელზე — **ჩუღურეთის რაიონის შემბანკის ფილიალი № 8523/017, კერძო ანგარიში — 000164701, წიგნაკი — 41810.** რაც შეეხება მოწამლულთა დახმარების კომიტეტის საბანკო ანგარიშს, იგი ასეთია: **მრეწვმშენბანკის რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველო, № 000700323.** თანხის შეტანა შეიძლება ნებისმიერ შემნახველ სალაროში.

თითოეულმა ჩვენგანმა საკმაო წვლილი გაიღო ოცდაჩვიდმეტი წლის მსხვერპლთა და 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალების ასაგებად. იქნებ ვცდები, მაგრამ, ალბათ, უმჯობესია მათი აგება უკეთესი დროისათვის გადავდოთ, იქნებ ვცოდავ, მაგრამ ახალი ტაძრების მშენებლობასაც დროებით შევუშვათ ხელი. ღმერთიც და გარდაცვლილთა სულებიც მოგვიტევებენ, თუ ჯერ ცოცხლებზე ვიზრუნებთ. შევზღუდოთ საზღვარგარეთ მოგზაურობის ხარჯებიც და, თუ ეს სახელმწიფო ღონისძიებებთან არ არის დაკავშირებული, „სახალისო მივლინებები" დროებით გავაუქმოთ. ვთხოვ იმ საწარმოებს, რომელთაც ვალუტა მოეპოვებათ, მცირე თანხა მაინც გადარიცხონ 9 აპრილს მოწამლულთა ფონდში.

ამ მოწამლულთაგან ზოგიერთი წელს აბიტურიენტი იქნება. ვთხოვ უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელებს, საგანგებო გულისხმიერება გამოიჩინონ მათ მიმართ.

ნუ დავტოვებთ სასოწარკვეთილებაში იმ ადამიანებს, რომლებიც მამულის სიყვარულის გამო საბჭოთა იმპერიის ძალმომრეობის მსხვერპლნი გახდნენ.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

**იმედითა და პატივისცემით ჯუმბერ შუშბურიძე**

**ჰონორარი გადაირიცხოს 9 აპრილს მოწამლულთა ფონდში.**

## საერთაშორისო ქრონიკა

იუგოსლავიის ფედერალურმა მთავრობამ და სლოვენიისა და ხორვატიის ლიდერებმა მიაღწიეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მათ მიიღეს ევროპის თანამეგობრობის სამშვიდობო გეგმა, რომელიც ადრიატიკის ზღვის კუნძულ ბრიონიზე მიმდინარე მოლაპარაკებაზე ჩაიტანეს ნიდერლანდების, ლუქსემბურგისა და პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა.

მიღწეული შეთანხმების მიხედვით, 1 აგვისტოს დაიწყება ფართო მასშტაბის მოლაპარაკებები კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის, ამასთან, ხორვატია და სლოვენია დათანხმდნენ, გამოაცხადონ სამთვიანი მორატორიუმი გასულ თვეში მიღებულ დამოუკიდებლობის დეკლარაციებზე.

კომპრომისული შეთანხმება ითვალისწინებს ასევე ფედერალური მთავრობის სრული კონტროლის აღდგენას იუგოსლავიის შეიარაღებულ ძალებზე, სლოვენიის თავდაცვის ძალების და ფედერალური არმიის ნაწილების დაბრუნებას ყაზარმებში 24 საათის განმავლობაში.

რაც შეეხება სლოვენიის სასაზღვრო პუნქტებს უნგრეთთან, ავსტრიასა და იტალიასთან, მათ კონტროლს გაუწევს სლოვენიის პოლიცია ფედერალური კანონების შესაბამისად.

ამასობაში იუგოსლავიის ფედერალურმა მთავრობამ ბრალი დასდო ავსტრიას მის საშინაო საქმეებში ჩარევაში. მთავრობის საპროტესტო ნოტაში, რომელიც ავსტრიის ელჩს გადასცეს ბელგრადში, ნათქვამია, რომ ავსტრია მხარს უჭერს სეპარატისტულ განწყობილებას ხორვატიასა და სლოვენიაში და წელიწადზე მეტია, იარაღს აწვდის ამ რესპუბლიკებს.

გუშინ მუშაობა დაიწყო ევროპარლამენტის მორიგმა სესიამ, რომელიც, როგორც მოსალოდნელია, იუგოსლავიის კრიზისს განიხილავს. გასულ პარასკევს ევროპის თანამეგობრობის 12 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა გადაწყვიტეს დროებით შეაჩერონ იუგოსლავიისათვის იარაღის მოწოდება და ფინანსური დახმარება, რომელიც დაახლოებით ერთ მილიარდ დოლარს შეადგენს.

●

მოსკოვში ორდღიანი ვიზიტით ჩავიდა ესპანეთის პრემიერ-მინისტრი ფ. გონსალესი, რომელიც მ. გორბაჩოვთან შეხვედრისას განიხილავს იუგოსლავიის კრიზისს, ახლო აღმოსავლეთის პრობლემებს, საბჭოთა კავშირის ურთიერთობას ევროპის თანამეგობრობასთან და სხვა.

ესპანეთის ოფიციალურ პირთა თქმით, ვიზიტის დროს გათვალისწინებული არ არის არავითარი ეკონომიკური შეთანხმების ხელმოწერა საბჭოთა კავშირსა და ესპანეთს შორის ანუ ესპანეთის მიერ საბჭოთა კავშირისათვის ფინანსური დახმარების გაწევა.

ვარაუდობენ, რომ დღეს ფ. გონსალესი შეხვდება რუსეთის პრეზიდენტს ბ. ელცინს.

●

ამ კვირაში ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და ევროპული ბანკები შეეცდებიან მიაღწიონ შეთანხმებას საბჭოთა კავშირის მიერ ევროპის თანამეგობრობისაგან ნახევარი მილიარდი დოლარის ღირებულების სურსათის შესყიდვის თაობაზე.

ეს შეთანხმება პირველად შემუშავდა შარშან დეკემბერში რომში, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ლიდერთა შეხვედრაზე, მაგრამ მისი რეალიზაცია შეჩერდა ბალტიისპირეთში საბჭოთა სამხედრო აქციების გამო.

●

იორდანიაში გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც შემოიღეს 1967 წელს არაბეთ-ისრაელის ომის დროს. სამხედრო მდგომარეობა კრძალავდა მასობრივი ორგანიზაციების შექმნას და მთავრობას ანიჭებდა ფართო უფლებამოსილებას სიტყვის თავისუფლებისა და პრესის შეზღუდვისათვის. ამჯერად, იორდანიის მეფე ჰუსეინმა გადაწყვიტა, გაითვალისწინოს საზოგადოებრივი აზრი და განახორციელოს პოლიტიკური რეფორმები, რასაც საპარლამენტო არჩევნები და პოლიტიკური პარტიების ლეგალიზაცია მოჰყვება.

●

გაეროს კომისიამ მიაღწია ერაყის ატომური ობიექტების ინსპექციის ნებართვას, რითაც, როგორც ვარაუდობენ, გრძელდება ატომური იარაღის შექმნის სამუშაოები.. კომისიის მუშაობის შედეგებზე ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.

**ირინა თევდორაშვილი**

# სამშობლოს ერთგული შვილი

ამა წლის 21 ივლისს საქართველოს უზენაესი საბჭოს გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად მარტვილის № 96 საარჩევნო ოლქში კენჭს იყრის სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს მიწათმოქმედთა ასოციაციის პრეზიდენტი როინ ლიპარტელიანი. ჩვენს, სოფლის მეურნეობის მუშაკთა ერთი ჯგუფი სულითა და გულით მხარს ვუჭერთ როინ ლიპარტელიანის კანდიდატურას და ვფიქრობთ, რომ დღეს, როდესაც საქართველოს უზენაეს საბჭოს ასე სჭირდება მაღალკვალიფიციური სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მარტვილელი მოსახლეობაც ერთსულოვნად დაუჭერს მხარს როინ ლიპარტელიანის კანდიდატურას. ვარწმუნებთ მარტვილელებს, რომ მისი სახით მათ ეყოლებათ ნამდვილი გულშემატკივარი და ერთგული დეპუტატი.

საქართველოს დღეს ძალიან უჭირს. ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს და ყველამ ხელები უნდა დავიკაპიწოთ, რათა აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ჩვენი სამშობლოს ნანატრი თავისუფლების მოპოვებაში. იმისათვის, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს რესპუბლიკის პარლამენტი, საჭიროა უზენაეს საბჭოში ავირჩიოთ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი, პატიოსანი, პროფესიონალი, პატრიოტი ადამიანები, რომლებიც დღემდე აქტიურად იყვნენ ჩაბმული ეროვნულ მოძრაობაში და მომავალშიც ყველაფერს გააკეთებენ ერის საკეთილდღეოდ.

სწორედ ასეთ კაცად მიგვაჩნია ბატონი როინ ლიპარტელიანი.

როინ ლიპარტელიანი დაიბადა 1951 წლის 1 სექტემბერს. 1974 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ხოლო 1978 წელს ასევე წარჩინებით დაამთავრა ასპირანტურა და გახდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი; ამჟამად სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორანტია. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მუშაობს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან არსებულ მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარ სამმართველოში ერთ-ერთ სამმართველოს უფროსად.



როინ ლიპარტელიანი ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმულია 1971 წლიდან. სხვადასხვა დროს იყო ჰელსინკის კავშირისა და სახალხო ფრონტის წევრი. 1988 წელს აირჩიეს საქართველოს მიწათმოქმედთა ასოციაციის პრეზიდენტად, 1989 წელს — საქართველოს გლეხთა პარტიის, ხოლო 1990 წლის აგვისტოდან — სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის თავმჯდომარედ. 1991 წლის მაისში დაასახელეს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტობის კანდიდატად.

ყველა, ვინც როინ ლიპარტელიანს ახლოს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ის თავმდაბალი, მაღალი კულტურისა და ერუდიციის ადამიანია. იგი ჩუმად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე აკეთებდა და აკეთებს ეროვნულ საქმეს. არასოდეს არავისზე აუგი არ უთქვამს.

მისი ოცნებაა საქართველო გახდეს მოწინავე მიწათმოქმედების ქვეყანა. ამისათვის კი საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს მიწის რეფორმა, მიწის ნაწილი გადავიდეს გლეხის, ფერმერის, ეკლესიის საკუთრებაში, ხოლო მიწაზე მეურნეობის ორგანიზაციის და გაძღოლის ფორმები (კოოპერაციული, საზოგადოებრივი მეურნეობები, ინდივიდუალური გლეხური, ქალაქური ფერმერული მეურნეობა) არჩეული უნდა იქნას დამოუკიდებლად, მის შემდგომ საქმიანობაში ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

ამასთან, პირველ რიგში, მოსახლეობას მიწები უნდა გამოეყოს საკარმიდამო ნაკვეთებად. ბარში — 0,5 ჰექტარამდე ერთ ოჯახს, ხოლო მთის წინა და მთის ზონაში ერთ ჰექტარამდე.

როინ ლიპარტელიანი უპირველეს საქმედ მიიჩნევს ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი ლანდშაფტების და კოლორიტის გადარჩენას, მთის სოფლების აღდგენა-აღორძინებას, უნიკალური მსოფლიო ღირებულების მქონე სიძველეთა ძეგლების დაცვას, ადათ-წესების შენარჩუნებას, საქართველოს მთიანეთისათვის ეროვნული ნაკრძალის სტატუსის მინიჭებას და ა. შ.

როინ ლიპარტელიანი ყოველთვის ერთგულად მხარში ედგა ბატონ მერაბ კოსტავასა და ბატონ ზვიად გამსახურდიას. დღესაც ერთგულია მათი იდეებისა და მიზნების. ამის დასტურია თითოეული მისი გამოსვლა პრესით, რადიოთი თუ ტელევიზიით.

ჩვენ, სოფლის მეურნეობის მუშაკთა ერთი ჯგუფი ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს როინ ლიპარტელიანის საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებას, ღმერთმა გაამარჯვებინოს მას.

**მხარდამჭერების სახელით: ბიძინა მელაძე, ამირან კალანდია, შალვა ჩაბუნავა, გივი გვაზავა, ზურაბ ხოხელია, ტრისტან ხუციშვილი, ვაჟა ბუჯიაშვილი, ნაირა ვახტანგიშვილი და სხვები.**

**1988 წლის ნოემბრის მოვლენები. მარცხნიდან მეორე როინ ლიპარტელიანი.**

**რ. დოლიძის ფოტო.**

დეპუტატობის კანდიდატები

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარსულის გაკვეთილები

ტრადიციული ფასეულობები

# სატკივარი ჩვენი „არ ახალია—ძველია“

„მთელი ათასი წლებია ამ მიწაზედ ვზივართ, ვხნავთ, ვთესავთ, ვმკით, ვრგავთ, ვკრეფავთ, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ მიწად-მოქმედი ხალხი ვართ. უფრო მართალი იქნება ვსთქვათ, რომ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მიწის მფლობელნი ვართ. აიხსნება ეს იმით, რომ მიწას ჩვენ მხოლოდ როგორც ჩვენს სამფლობელოს ვუცქერით, მას ჩვენ უფრო როგორც ჩვენს საკუთრებას ვაფასებთ, როგორც ჩვენი თავის შესაფარებელ ბუდეს. მასში მუშაობა-გარჯას ჩვენ ვუყურებთ როგორც სხვათა შორის საქმეს, და არა როგორც ჩვენის ცხოვრების უმთავრეს წყაროს. თუ ეს ასე არ არის, მაშ რით აიხსნება ის სამწუხარო ამბავი, რომ მთელი ჩვენი თავად-აზნაურობა, დიდიდან პატარამდის, ფრიად მცირე რიცხვის გარდა, სრულიად არ მისდევს სოფლის მეურნეობას, აქტიურს მონაწილეობას არ იღებს მამულის უკეთ და თანამედროვულად მოწყობაში, არ მუშაობს, საკუთარ ოფლს არა ღვრის მასში!..

რით აიხსნება ის ამბავი, ჩვენი თავად-აზნაურობის და სამწუხაროდ მრავალი გლეხის შვილებიც კი თვეში ათს და თხუთმეტს მანეთს ჯამაგირს რჩეობენ სადმე სახელმწიფო თუ კერძო სამსახურში, ვიდრე ლაღად და თავისუფლად მამულში ყოფნას, მისთვის თავდადებას, ოფლის ღვრას!“ — აი ამ სიტყვებით მიმართავდა ქართველ საზოგადოებრიობას ჟურნალ „მოგზაურის“ რედაქტორ-გამომცემელი ბატონი ივანე როსტომაშვილი 1903 წელს ჟურნალის საახალწლო ნომრის სათაო (დღევანდელი გაგებით სარედაქციო) წერილში.

რაოდენ თანადროულია დღეს ჩვენთვის ამ საუკუნის დასაწყისში გამოხატული გულისტკივილი ერის მდგომარეობით შეწუხებული მამულიშვილისა. ქვეყნის მდგომარეობის ღრმა ანალიზთან ერთად, ბატონი ივ. როსტომაშვილი დაუფარავად ამხილებს მის გამომწვევ მიზეზებს, აყალიბებს შექმნილი ვითარების გამოსწორების გზებსა და საშუალებებს და საფუძვლიან რჩევებს აძლევს თანამემამულეებს:

„ჩვენ ვჩივით ჩვენის ოჯახის დაცემას, გათახსირებას. ან კი სხვა რას უნდა მოელოდეს ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ერი, ჩვენის უცხო იდეალების პატრონი!... ყველაფერს ჰპოვნით ჩვენში, ყოველს აზრს, ყველაფრისათვის გაცხარებულს ბაასს, ბრძოლას, მეცადინეობას, ვერ იპოვნით მხოლოდ, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, სამეურნეო იდეალს, ვერ იპოვნით მისთვის თავგამოდებულს მობაასეთ, მქადაგებელთ, მებრძოლთ, ვერ იპოვნით დიასახლისებს, რომ საკვებნურად მიაჩნდესთ თვისი ოჯახის და მამულის მეურნეობის სამაგალითოდ მოწყობა, ვერ იპოვნით მათში უბრალო მოტრფიალეთაც კი ამ საგნებისადმი... ესენიც, ვითარცა მამაკაცნი, გატაცებულნი არიან სულ სხვა აზრებით, სხვა იდეალებით, სხვა კითხვებით, ბაასებით, თეატრებით, ჩაცმა-დახურვით, ჯამაგირებით, სხვის შემყურეობით, მონობით, მოჯამაგირეობით.

სხენება არ არის, სხენებაც კი, არც ერთი მათგანი არ გაიხსენებს მეურნეობას, ერთ წიგნსაც არ წაიკითხავს, არ იყიდის სამეურნეოს, თუმცა კი უმდიდრესი სამეურნეო ქვეყნის შვილნი ვართ და იმავ დროს კი ხუთს და ათ მანეთსაც არ დაზოგავს რომელიმე საეჭვო ღირებულების რომანის საყიდლათ. ხოლო, რაც მთელი შთამომავლობით, მთელი თაობებით, მამით და შვილით არ შენდება, არ კეთდება, რაც მამა-პაპამ მოამტკიცა—მოაგვარა, თუ შვილი არ განაგრძობს, განა შეიძლება იქ ქვეყანა წინ წავიდეს, ქვეყანას გაუადვილდეს ცხოვრება, რომელიც რაც დრო გადის, შეუჩერებლად უფრო რთულდება?! ჩვენი შვილები ახლა პატარაობიდანვე მოწყვეტილნი არიან სოფელს, მათ თითქმის არაფერი აკავშირებს სოფელთან, მათი ინტერესები პატარაობიდანვე სულ ქალაქშია, მათი ოცნებანი — სამსახური, თბილი ადგილი, არაფრის კეთება... სოფელი მათთვის ახლა მხოლოდ აგარაკია, სადაც მათ უნდა მხოლოდ სვან, ჭამონ, უსაქმოდ იყონ, ილხინონ, ივანცხრონ და არა მამა-პაპათა მეურნეობა უბეჯითონ, გაიცნონ, თავისი სწავლით და წერა-კითხვის ცოდნით ახალი რამ ხსივი შეიტანონ ოჯახისა და მამულის მეურნეობაში....“

ხსენებული წერილი საკმაოდ ვრცელია და მასში მოყვანილი დასკვნებისა და რეკომენდაციების სრული გადმოცემა გაზეთის საშუალებით შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, რის გადმოცემასაც მოვახერხებთ, ესეც ნათელს გახდის თანამედროვე მკითხველისათვის, თუ რა აწუხებდა ჭეშმარიტ მამულიშვილს და რაში ხედავდა გამოსავალს.

„ჩვენი ხალხი ორ დიდ ჯგუფად არის გაყოფილი. ერთის მხრივ სდგას მუშაობის მცოდნე, მაგრამ განუვითარებელი, უსწავლელი გლეხი და მეორეს მხრით — მუშაობის არ მცოდნე ნასწავლი, რომელიც სრულიად მოკლებულია დამოუკიდებელ, თვითმოქმედ მოღვაწეობას მიწაზედ (სამწუხაროდ თვით სპეციალისტი აგრონომებიც კი) და ამიტომ გამოსადეგია მხოლოდ მოხელეობაში, სხვის სამსახურში და იქ ჯამაგირის აღებაში. ჩვენი გლეხი რომ ისევე განათლებული იყოს, ხოლო განათლებულნი, გაწვრთნილნი მუშაობაში, როგორც, მაგ. არიან ამერიკელები, მაშინ ჩვენს ბუნებითს სიმდიდრესთან ჩვენს ბედს ძაღლიც ვერ დაჰყეფდა, მაგრამ რა ვუთხრა იმ თვალგადუწვდენელს წყვდიადს და ნაპრალს, რომელიც ამ ორ ჯგუფს შორის ძევს!... მინდვრები უხნავ-უთესი ყრია, ტყეები იჩეხება, ადგილ-ადგილ ჭაობდება, უდაბნოვდება და არავინ არის, რომ იგინი სამოთხედ აქციოს... ეს სულ ნაყოფია იმ მუქთა-ხორობისა, მსუბუქად შოვნისა ცხოვრების საშუალებათა, რომელსაც დიდი ხანია მიეჩვია ქართველი...“

მეტად საყურადღებოა ბატონ ივანე როსტომაშვილის მოსაზრებანი თბილისის მიდამოების მდგომარეობისა და მათი „ედემბაღებად გადაქცევის“ შესახებ. იგი წერს:

„რაკი გაურბის ქართველი სოფელს და მიეშურება ქალაქს, აქ მაინც ნუ უარს ჰყოფს თავის მამა-პაპურს ხელობას — მეურნეობას. თვალი გაახილეთ და დარწმუნდებით, ქართველებო, რომ ქალაქების მახლობლად მეურნეობა უდიდეს მომავალს გიქადით და აქ მაინც გაინძრიეთ ხელი, რომ ერთიან ედემის ბაღად და ბოსტნად აქციოთ ქალაქების მთელი არე-მარე, რომელიც დღეს ასე დაღვრემილად გამოიცქირება მოქალაქეთა ბრწყინვალე სახლების გარშემო და ცოტად თუ ბევრად მათაც სდებს ამ დაღვრემილს ფერსა. ამგვარად თქვენ ისევე დამოუკიდებლად დარჩებით, როგორც სოფელში იყავით, როგორც თქვენი მამა-პაპა იყო სოფლად, დარჩებით მუშაკ-გეორგიანებად (თქმა არის, რომ ძველი ბერძნები ჩვენ, ქართველებს გეორგიანებად გვეძახდნენ, რაიც ნიშნავს მიწადმოქმედს).

გული მიკვნეს-მიკვდება, როცა ვუყურებ ბრწყინვალე და მდიდარი თბილისის გაუერანებულს და გადაბრუკულს მიდამოებს!.. ამოდენა ინტელიგენცია, ამოდენა სპეციალურად მომზადებული მეურნენი და ტექნიკოსნი ჰყავს, ამოდენა ფული აქვს და, ერთი, წამლად რა არის, წამლად და ლიტონ აზრადაც არ მოიპოვება აქ ცდა მის გადაბრუკულ მიდამოთა შეუდარებელ ედემ-ბაღებად გადაქცევისათვის. იტყვით, თბილისის არემარენი მოკლებულია წყალს და უწყლოდ ვინ რას გაარიგებსო? არა ბატონებო! ჩვენი ქვეყანა თვით ბუნებით ისე მრავლად და ხელშეწყობით არის მთა-ღელეებით დასერილი, რომ ფრიად ადვილია აუარებლის და სრულიად საკმაო წყლის შექმნა, დაბადება. ჩვენ მოგახსენებთ, ეგრეთ-წოდებულ ხელოვნური ტბების დამართვით, რაიც სულ უბრალო ხარჯს მოითხოვს თვისს გასაკეთებლად. მაგრამ ვისთვის ვწერთ, ვის ვუქადაგებთ ამას?! ჩვენი საზოგადოება, ზემოთაც მოგახსენეთ, გატაცებულია ყველაფრით, ხოლო არა ამ დიდ-მნიშვნელოვანი საქმით. სომეხს და რუსს კიდევ ეპატიებათ ასეთი გულგრილობა თბილისის არე-მარეთა ასეთ სამწუხარო მდგომარეობისადმი. მაგრამ, ჩვენ ქართველებს კი არასოდეს!“

სამწუხაროდ, ჩვენი გულმხურვალე წინაპრის ამ მოწოდებებს მისმა თანამედროვეებმა არ აუბეს მხარი. რაც შეეხება შთამომავლებს, მათ „ხელი კი გაანძრიეს“, მაგრამ არა საიმისოდ, რომ თბილისის არე-მარენი „ედემ-ბაღებად“ გადაექციათ, არამედ საიმისოდ, რომ სოფლებს გამოქცეულთათვის მყუდრო „თავშესაფარი კორპუსები“ წამოეჭიმათ დედაქალაქის გარეუბნების ნოყიერ მიწებზე დიღომსა თუ ფონიჭალაში, გლდანსა თუ ვარკეთილში.

ეცნობი ამაგდარი წინაპრის ნაფიქრალ-ნააზრევს და გული გწყდება, რომ ჩვენს სატკივარს, რომელიც მართლაც რომ „არ ახალია—ძველია“, საშველი არ დაადგა, თუმცა მას შემდეგ საუკუნე თითქმის გაილია.

დღეს კი, იმის მაგივრად, რომ „ათავისუფლონ მიწები“, გარდაქმნის წამომწყების ავტორობაში ეცილებიან ერთმანეთს „ცხრა რესპუბლიკის კავშირის“ პრეზიდენტი და ჩვენი რესპუბლიკის 70-იანი წლების თავკაცი.

ბატონ ივანე როსტომაშვილის კიდევ ერთ გამონათქვამს გაგაცნობთ და თვითონ განსაჯეთ თუ ვინ იყო პირველი, ქვეყნის გარდაქმნა-აღორძინების აუცილებლობის წამოწყებათა შორის.

„...ერთი სიტყვით **გვჭირია სრული გარდაქმნა დღევანდელის ჩვენის ზნისა და ხასიათისა...** (ხაზგასმა ივ. როსტომაშვილისაა) მთლიანად ჩვენი ქვეყანა, დასახლებული და დაუსახლებელი, შემუშავებული და შეუმუშავებელი, მთა და ბარი, ყველაფერი თხულობს აუარებელს ფიზიკურ შრომას, რომ ბოლოს დაემსგავსოს კულტურულ მხარეს. ეს კი შეუძლიათ მხოლოდ განათლებულს და სწავლით აღჭურვილ მუშას, უიმათოთ მათი შემუშავება უბრალო გამოწოვნა-გაუდაბნოება იქნებოდა ჩვენის მდიდარის ბუნებისა. საქართველოს მიწა მოუთმენლად ელის თვის გაზრდილ შვილს, მაგრამ ეს კი მხოლოდ მაშინ იქნება, როცა იგი ხელს აიღებს ადვილად ნაშოვნ მუქთ ცხოვრებაზე, მუქთახორობაზე!“

ჭეშმარიტი დასკვნაა. დიახაც, რომ საქართველოს მიწა დღესაც მოუთმენლად ელის თავის აღზრდილთა გამრჯე მარჯვენას და იმის რწმენას, რომ მას არ მოაკლდება ახალგაზრდობის მზრუნველი ხელი, ისიც გვიმტკიცებს, რომ საქართველოს ხელისუფლება დღეს ქვეყნის ჭეშმარიტ პატრიოტთა ხელშია, რომელთა უზენაესი მიზანი და ოცნება, ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასთან ერთად, ქვეყნის განახლება და აღორძინებაა. ხელისუფლებას კი სანუკვარ მიზანთა განსახორციელებლად ჩვენი თანადგომა და ბეჯითი გარჯა სჭირდება.

**ნუგზარ მხეიძე**

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში.

# წინასწარი გამოძიების პრობლემები

დღეს რესპუბლიკაში სხვადასხვა სახის უამრავი დანაშაული ხდება — ათასობით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ამასთან, სამწუხაროა, რომ დიდია გაუხსნელ დანაშაულთა რაოდენობაც (კერძოდ, გასულ სამ თვეში 2400 საქმე). შესაბამისი ორგანოთა მიერ შეიარაღებულ სამიშ დამნაშავეთა არაერთი ჯგუფია მხილებული, რომელთა რიგებში მილიციის მუშაკებიც კი აღმოჩნდნენ. ამას წინათ ეს საკითხი საგამოძიებო სამმართველოს ინიციატივით სპეციალურად განიხილეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ თათბირზე. მწვავე შეფასებები მიეცა ყველაფერს, ამ შემთხვევაში ხომ დიდი და პატარა მიზეზები არ არსებობს.

ასეთ ვითარებაში ურთულეს პრობლემათა წინაშეა გამოძიების სამსახურიც.

იმისათვის, რომ საგამოძიებო ორგანოებმა დროულად და ობიექტურად გახსნან მომხდარი დანაშაულობანი, საჭიროა მთელი რიგი ორგანიზაციულ და პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება:

საფუძვლიანად უნდა შეიცვალოს ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. იგი უნდა შეესაბამებოდეს დამოუკიდებელი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას, ჩვენი აზროვნების მექანიზმს, ადათწესებს, ტრადიციებსა და სპეციფიკას. ამით უნდა დადგინდეს ახალი სამართლებრივი ნორმები, რომელთა სამოქმედოდ შემოღებით დანაშაულთან ბრძოლა უფრო ეფექტური გახდება.

ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ მოქმედი მატერიალური და საპროცესო სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამჟამადაც მნიშვნელოვან, საჭირო ცვლილებებს განიცდის. მარტო ის რად ღირს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო სიტყვას საქართველოს უზენაესი სასამართლო იტყვის და არა საკავშირო ინსტანციები. ამასთან, გულისტკვილით უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანისას ნაკლებად ითვალისწინებენ საგამოძიებო დარგის მუშაკთა აზრს, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ამ დარგის მუშაკთა მონაწილეობის საკითხი კანონპროექტთა მომზადებაში.

უკანასკნელი პერიოდის საბჭოური კანონმდებლობით საკმაოდ დაცულია ექვმიტანილისა და ბრალდებულის ინტერესები. რაც შეეხება დაზარალებულს, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს სახელმწიფოსათვის მისი ინტერესების დაცვა უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე სისხლის სამართლის დამნაშავისა. ახალმა კანონმდებელმა ეს დარღვეული ბალანსი უმოკლეს დროში უნდა აღადგინოს.

მიზანშეწონილად და გამართლებულად მიგვაჩნია საგამოძიებო ორგანოების ერთიანი სტრუქტურის შექმნა, თავისი ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოებით. გამოძიება ცენტრალიზებული წესით უნდა წარიმართოს. იგი საპროკურორო ზედამხედველობის გარდა არცერთ ორგანოს არ უნდა ემორჩილებოდეს. ამასთან, თავს იჩენს ოპერატიულ სამსახურთან დამოკიდებულების პრობლემა. მთავარია, მათმა ურთიერთობამ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტი შექმნას.

დღეს ყველაზე უფრო ვგრძნობთ პროფესიონალიზმის საჭიროებას. ამიტომაც უნდა ამაღლდეს უმაღლეს სასწავლებლებში იურისტთა მომზადების, სწავლების ხარისხი, მოხდეს მათი გამოძიების ხაზით სპეციალიზაცია. თეორიული მომზადების პარალელურად მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას, ამ მიზნით უნდა გახანგრძლივდეს საგამოძიებო ორგანოებში სტუდენტთა პრაქტიკის, ხოლო უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სტაჟირების ვადები. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი ინსტიტუტი უკვე დიდი ხანია არსებობს პროკურატურის სისტემაში, ჩვენთან კი ეს საკითხი დღემდე არ გადაწყვეტილა, თუმცა რესპუბლიკაში გამოძიებულ საქმეთა 75 პროცენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლებზე მოდის.

ცხადია, აუცილებელიც კია, რომ გამომძიებელთა ტექნიკური აღჭურვილობა თანამედროვე დონეს შეესაბამებოდეს. შემთხვევის ადგილის კვალიფიციური დათვალიერებისათვის მათ ავტომანქანა — ლაბორატორიები უნდა ემსახურებოდეთ და, როგორც მოწინავე განვითარებულ ქვეყნებში, თანაშემწეებად გამოცდილი კრიმინალისტები უნდა ჰყავდეთ. შეიძლება მკითხველებმა გაიკვირვონ კიდეც, რომ დღეს საგამოძიებო ორგანოებს ვიდეო და ფოტო აპარატურა პრაქტიკულად არ გააჩნია. გამომძიებლის ჩემოდანიც კი ხელმიუწვდომელია ჩვენთვის.

დანაშაულის ზრდის ტენდენცია იმდენად მკვეთრად გამოიკვეთა, რომ გამომძიებელთა არსებული საშტატო ერთეულები აშკარად არ კმარა. ამიტომ ამ თვალსაზრისით რაღაც გამოსავალი უნდა მოიძებნოს, ვინაიდან ეს ფაქტი პირდაპირ კავშირშია გამოძიების ხარისხთან.

დღეისათვის ჩვენთან გამომძიებლის თანაშემწეებად საზოგადოებრივ საწყისებზე თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ოცდაათამდე სტუდენტი. ისინი უკვე ჩვენს საიმედო შემცვლელებად მიგვაჩნია. ცხადია მათ მორალური წახალისების გარდა მატერიალური წახალისებაც ესაჭიროებათ, რისი საშუალებაც, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია.

მიუხედავად ამდენი პრობლემებისა, საგამოძიებო სამსახური კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში შეასრულებს თავის მოვალეობებს და არ შეირცხვენს თავს ერისა და რესპუბლიკის წინაშე.

**ჯემალ გახოკიძე,**

**საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე, იურიდიული მეცნიერების კანდიდატი.**

„ბახტრიონი“ გთავაზობთ

ტურისტული ფირმა „ბახტრიონი“ წლევანდელ 2, 9, 16, 23, 30 აგვისტოს გთავაზობთ შვიდდღიან მოგზაურობას კომფორტულ თბომავალზე „ანა კარენინა“, მარშრუტით — ლენინგრადი —კილი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) — საგზურები იყიდება საბჭოთა მანეთებზე.

ცნობებისათვის მიმართეთ ფირმა „ბახტრიონს“, წყალსადენის ქ. № 7. (ავჭალა), ტელეფონები: 62-73-19 ან 62-97-29.

# რეციდივისტის კარიერის მემუარები

ნებისმიერ პედაგოგს ჰკითხეთ, რატომ გარბიან ბავშვები, უმეტესად მოზარდები სახლიდანო და ისეთ ვრცელ, მოსაწყენ პასუხს მიიღებთ, უეჭველად ერთი-ორჯერ დაამთქნარებთ. ფსიქოლოგის ახსნა-განმარტებაც ძილს მოგგვრით. აი, გაქცეული ბავშვის მშობლების აღშფოთება კი გამოგაფხიზლებთ. გაოცდებით კიდევაც, თუ ასეთ კარგ პირობებში ცხოვრობდა, სად გარბოდაო, იტყვით.

ბავშვები კი სახლიდან გარბიან და თუ ეს სენი ათეული წლების განმავლობაში მხოლოდ რუსეთს აშფოთებდა, ახლა საქართველო აღმოჩნდა იგივე პრობლემის წინაშე. ბავშვები, ამ შემთხვევაში რასაკვირველია მოზარდებს ვგულისხმობ, მასიურად გარბიან სახლიდანო, ვერ ვიტყვით, მაგრამ ის, ვინც სახლში რჩება, მშობლების რჩევა-დარიგებას ყურს არ ათხოვებს და ისე ავად ეპასუხება, უხერხულ მდგომარეობაში აყენებს შვილის უხეშობისაგან დაბნეულ მშობლებს. მამათა და შვილთა პრობლემა ოდითგანვე არსებობდა, ჩვენი წერილი ამ პრობლემის გადაჭრის პრეტენზიას არ აცხადებს, არც იმ პრობლემაზე გაამახვილებს მკითხველის ყურადღებას, თუ რატომაა რომ ასაკოვან, გამელოტებულ შვილს, რომელსაც რახანია დასაქორწინებელი შვილები ჰყავს, მშობლები ბავშვს უწოდებენ (ესეც ძირითადად საქართველოში ხდება), და სწორედ ისევე არჩენენ, ელოლიავებიან და ეფერებიან, როგორც ეს მის პატარაობაში ხდებოდა. საქართველოში იმდენად უცნაურია მოსასმენად შვილები მშობლებისაგან გარბიანო, რომ როცა ასეთ ამბავს შეიტყობენ, სწრაფად გადასცემენ ხოლმე ერთმანეთს. მოგეხსენებათ მსგავსი ისტორიები უამრავი „მოყვარული მწერლის" მიერ შელამაზებული მნიშვნელოვანი დეტალებით ივსება და ფანტასტიკური შარავანდედით გასხივოსნებული ჭორი, ორიოდე კვირის განმავლობაში გვირგვინივით ადგას ქალაქს.

ერთი ასეთი მოულოდნელობა, სენსაცია, რომელმაც კარგა ხანს შეიქცია მტკიცე ოჯახისა და მორალის მოყვარულები, იმ მოზარდების დაპატიმრება გახდა, თბილისის რკინიგზაზე, მიტოვებულ ვაგონში რომ ცხოვრობდნენ. ყველაზე უცნაური მაინც ის იყო, რომ ბიჭებში ორი გოგონაც ერია. ბავშვები ქურდობდნენ და ისე ირჩენდნენ თავს.

●

მერე ამბობდნენ...

●

ამბობენ, კახეთის ერთ პატარა სოფელში ქვრივი ქალი ცხოვრობდაო. ისეთი ლამაზი ყოფილა, მეზობლები მოსვენებას არ აძლევდნენ. ხან ვის ურიგებდნენ და ხან ვის. უარზე იდგა ქალი, ვერ გავთხოვდები, ვაითუ ბიჭი დამჩაგროსო. ბოლოს ერთი შეძლებული კაცი გამოჩნდა, ცასა და ქვეყანას დაპირდა. იყოყმანა ერთხანს და მერე მაინც დათანხმდა. იფიქრა, მთელი ცხოვრება გაჭირვებაში რატომ დავჩაგრო შვილი, კარგი პირობები რომ ექნება, იქნებ ნასწავლი კაცი დადგეს და ბედნიერი იყოსო. თუმცა არაფერს უმალავდა, გათხოვების ამბავი ვერ გაუმხილა ბიჭს. მთაში გაგზავნა ზაფხულის გასატარებლად ბიძასთან და მერე მიიღო სახლში ქმრად მოვლენილი მდიდარი მეღვინე.

ცხოვრობდა ბიჭი უდარდელად მთაში. დღისით ცხვარს უვლიდა, ღამით ვარსკვლავებს უტევებდა, ხანდახან დედა მოენატრებოდა და უკვირდა, ერთხელ მაინც რატომ არ ამომაკითხაო. აგვისტოს მიწურულს საკუთარი ხელით ამოყვანილი რამდენიმე გუდის ყველი მოიკიდა მხარზე, ბიძის მიცემული წითელი თუმნიანები ჩაიკუჭა ჯიბეში, ბიძაშვილები ჩაკოცნა და სოფლისკენ გამოსწია. მძიმე იყო მხარზე მოგდებული ტვირთი, მაგრამ დედის ნახვის სურვილი უადვილებდა გზას. ბედად, ავტობუსს ჩამოუსწრო და ნათესავებსაც გადაეყარა. გაიხარეს ერთმანეთის ნახვით, როგორ დავაჟკაცებულხარ, რა სიხარული ელოდება დედაშენსო.

საკუთარი სახლი შორიდან ვერც კი იცნო. მზეზე ლაპლაპებდა თუნუქის ახალი სახურავი. ცისფრად შეეღებათ აივანი და სახლის კარ-ფანჯარა. ეზოში მსუბუქი ავტომანქანა იდგა. ბიჭმა ახლადშეღებილი რკინის ჭიშკარი შეაღო და ერთხანს მანქანას ათვალიერებდა. მერე კიბის ძირში დატოვა მთიდან წამოღებული ძღვენი და ჩუმად, ქურდულად გაეცალა მამისეულ კარ-მიდამოს. რადგან მეზობლის ნახვა არ უნდოდა, გზიდან გადაუხვია, მდინარისკენ წავიდა.

ცა და დედამიწა შეძრა დედამ, ვერსად იპოვეს ბიჭი.



●

ამბობენ...

ამბობენ, ისეთი წუწკები იყვნენ, იმათ ოჯახში ღვინო ძმარდებოდაო. ცოლ-ქმარი სულ უფულობას უჩიოდა, დღე-ღამეს შრომაში ასწორებდნენ. ჭირნახულს ხან ცოლი ეზიდებოდა ბაზარში, ხან ქმარი. ბიჭიც თან დაჰყავდათ. ეხალისებოდა ბავშვს ქალაქს გამგზავრება, თუმცა ბაზრის მეტს ვერაფერს ნახულობდა, მაინც გართობა ერქვა. ათვალიერებდა ზღვა ხალხს პირდაფჩენილი. ისეთი ლამაზი ტანსაცმელი ეცვათ ქალებს, ისეთი სამკაულები ეკეთათ, დედოფლები ეგონებოდათ. მოშივდებოდა ბიჭს, სახლიდან წამოღებულ პურს ამოულებდა დედა, გამყიდველი ქალები უეჭველად რაღაც გემრიელს მიაწოდებდნენ და ჭრელაჭრულა შთაბეჭდილებებისაგან დაღლილს მკვდარივით ეძინა ბიჭს. ასე გაგრძელდებოდა ალბათ უსასრულობამდე, კინოგადამღები ჯგუფი რომ არ ჩასულიყო სოფელში და მათი სახლი რომ არ დაექირავებინათ. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების მიხედვით იღებდნენ ფილმს. ხან სად დააგდებდნენ მსახიობები დაბეჭდილ ტექსტს და ხან სად. ერთხელაც წაიკითხა ბიჭმა და ისე მოეწონა, ხელმეორედ წაიკითხა. მერე ზეპირად ისწავლა. თუმცა არავისთვის გაუმხელია, რცხვენოდა.

დამთავრდა გადაღება, წავიდნენ მდგმურები და...

დედა ჩიოდა, მოწამლესო ბიჭი. დღენიადაგ ბიბლიოთეკაში ზის, წიგნებში იჩიჩქნება, აღარც სახლში გვეხმარება, ბაღ-ვენახიც მიაგდო, ბაზარს ვერ გააგონებო.

ერთი-ორი თვე დააცადეს, მერე მთვრალი დაბრუნდა სახლში ოჯახის უფროსი და ისე სცემა შვილი, ცხვირი გაუტეხა.

ესეც შენი წიგნები...

მოტყდა ბიჭი. ცხვირიდან სისხლის დენა დასჩემდა, მოიწყინა. ერთხელაც ბაზარში წაყვა დედამისს [illegible] უკან აღარ დაბრუნებულა.

მაშინვე მილიციაში განაცხადეს.

დედა იცრემლებოდა, მამა იმუქრებოდა, სახლში არ შემოვუშვებო. ზამთრის იმედი ჰქონდათ, შეცივდება და მოვაო. ზამთარიც გავიდა და გაზაფხულიც.

არ ჩანდა ბიჭი...

●

ამბობენ...

სკოლაში გაკვეთილები გაუცდათ, დროზე ადრე დაბრუნდა გოგო სახლში. დედის საწოლში ვიღაც კაცი იწვაო. ძალიან ნაცნობი სახე ჰქონდა, თუმცა ბავშვი სახეს კი არა, კაცის გულმკერდზე ბალახივით ამოსულ ქღალ ბალანს მონუსხულივით უყურებდა. დედას სახეზე საბანი წაუფარებია. გოგო ოთახიდან გავარდნილა, მამასთან გარბოდა, დედის დასასმენად. გზაში შეჩერებულა, შეშინებია, დედას მომიკლავსო და მატარებლებისაკენ უქცევია პირი.

●

ამბობენ...

ხატვის მასწავლებელი შეყვარებია, თბილისიდან ჩამოსული ახალგაზრდა ბიჭიო. ხატვისა კი არა, ფიზკულტურისო, ამტკიცებდნენ სხვები. სკოლიდან გარიცხვას უპირებდნენ, იმიტომაც გაიქცაო, ამასაც ამბობდნენ...

●

ამბობენ...

დედ-მამა მთელი დღე შინ არ იყო, მუშაობდნენო. 15 წლის ბიჭი უვლიდა დებს. სკოლიდან მოჰყავდა, სადილს აჭმევდა, აბანავებდა. ხან უჯერებდნენ, ხან არა. სახლში ჯდომას ეზოში ყოფნა ერჩივნათ პატარებს. ერთ საღამოსაც შეაგვიანდა ბიჭს. ფეხბურთის თამაშში გაერთო. შინ დაბრუნებულს შავად გამურული სამზარეულო, სანახევროდ დამწვარი ავეჯი და დამსხვრეული ჭურჭელი დახვდა. შეშინებული ბავშვები მეზობლებს შეეფარებინათ, მშობლებს აღარ დალოდებია, იცოდა, კარგი დღე არ დაადგებოდა და ღამეს შეაფარა თავი...

●

ამბობენ...

ქურდებს საკუთარი ბიძა გააძარცვინაო. შურიანია, ბიძის ქონება შეშურდაო. ასეთი რამე როგორ იკადრა, ღირსია, ციხეში ამოალპონო, მაგრამ მშობლები მაინც არა ტყდებიან, ბიჭი გადამალესო.

●

ამბობენ...

სულ სხვისი გამონაცვალი კაბები ეცვა, ზოგი უსაშველოდ გრძელი და განიერი, ზოგიც — საშინლად მოკლე და ვიწრო. რცხვენოდა გოგოს ქუჩაში გამოსვლა. ახალ სახლს აშენებდნენ მშობლები. ისიც ეხმარებოდა. დღენიადაგ წელის ტკივილი კლავდა. ჩხუბობდა, ტიროდა — არაფერი ჭრიდა, თანაც დედა ეცოდებოდა, იმის ზურგზე გადადიოდა ყველაფერი... მერე ერთმა ახალგაზრდა მუშამ დაადგა თვალი. ყურადღებიანი იყო. ხან სალეჭ რეზინას ჩუქნიდა, ხან კამფეტი და ნამცხვარი მოჰქონდა. ერთხელაც ბაზრობაზე წაყვანას და ტანსაცმლის ყიდვას დაპირდა.

ალიონზე დაადგნენ ქალაქის გზას.

კაცი იმავე საღამოს დაბრუნდა. გოგო...

●

ამბობენ...

როცა დალევდა, ჯიბიდან იარაღს ამოიღებდა და ჭერში ისროდა. ხანდახან ეზოში „ნადირობდა" ქათმებზე. ბიჭი უსაშველოდ ამაყობდა მამით. იცოდა, ეშინოდათ მისი, პატივს სცემდნენ. აი მისი კი არავის ეშინოდა, ხანდახან თავში ისე წაუთაქებდნენ... იმ დროზე ოცნებობდა ბიჭი, მილიციელი რომ გახდებოდა და იარაღს რომ ჩააბარებდნენ. დრო ნელა მიიზლაზნებოდა და ვეღარ მოითმინა ბიჭმა...

იარაღის სიმძიმემ შეაკრთო, მაინც არ დაიხია უკან...

●

ამბობენ...

ქალაქი დიდი იყო, უამრავი ხალხით სავსე. სახლებიც ბევრი იყო და მაინც არ ჩანდა თავშესაფარი. სიკეთეც არ ჩანდა ხალხის თვალებში... ღამე თვალები ჩაუშავდებოდათ სახლებს და გული უსკდებოდათ ბავშვებს იმათი შემხედვარე. ისევ სადგურზე, სინათლესთან ყოფნა ერჩიათ. აქ არასოდეს არ ქრებოდა შუქი. საკბილოს შოვნაც აქ უფრო იოლი იყო. ვიღაც დოყლაპია მგზავრს, თუ იყოჩაღებდი, აუცილებლად „აწაპნიდი" რამეს. ბაზარიც იქვე იყო, ბაზარში ხილი ულევი... თათრის ქალებს ძნელად წააგლეჯდი რაიმეს, ისევ ქართველი თუ შეგიცოდებდა. არ შეგიცოდებდა და ძალით წაართმევდნენ.

სადგურის მოსაცდელში საკმაოდ მოუხერხებელი სავარძლები ელაგა. თვალის მოტყუება მაინც შეიძლებოდა. არც იქ მოასვენეს. შეამჩნიეს და ვიდრე მილიცია წამოეწეოდა, კისრისტეხით მოკურცხლეს.

ეტყობა ბედისწერამ ასე ინება, ერთ ცარიელ ვაგონში შეკრიბა სუყველანი. ერთად ყოფნა ერჩიათ ცალ-ცალკე ხეტიალს. გვერდში რომ ტოლი ეგულებოდათ, თავს ობლად აღარ გრძნობდნენ. საღამოს გაშლიდნენ „მაგიდას", დაალაგებდნენ ვისაც რა ჰქონდა მოპარული, გემრიელად ილუკმებოდნენ და ათასნაირ ამბებს ყვებოდნენ, ერთნი ინტერნატსა და უსაზიზღრეს საჭმელს იგონებდა, მეორენი მასწავლებელს, უმოწყალოდ რომ აწიწკნიდა თმას, სწორედ იმას, მესამე შემოდგომაზე ბებოს ამოვლებულ ჩურჩხელებს იხსენებდა, და მოიბუზებოდნენ ხოლმე, სიცივისა და დარდისაგან შეწუხებულები.

●

ამბობენ...

უფროსებმა (ქურდებმა) მათი არსებობის შესახებ შეიტყვეს და პატრონებად მოევლინენ, უფრო დიდი საქმეებისთვის მოამზადეს მოზარდებიო.

●

ამბობენ...

მილიციაში ძალისმიერ მეთოდებს არ ერიდებიან, თუ „უპატრონო" ხარ, ორ-სამ გაუხსნელ საქმეს ეშვანივით იოლად შეგაბამენ კისერზეო.

●

ამბობენ...

ერთ გადაცემას უყურესო ტელევიზორში. საქველმოქმედო საღამოზე სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად რამდენიმე ათასი გადარიცხა ქალმა და კაცმა, დიდმა და პატარამ, ამ ორგანიზაციამ და იმ კომერციულმა ფირმამო, მიკროფონს ეღლურტულებოდნენ ბრჭყვიალა კაბებში გამოწყობილი დიქტორები. სიცილით იგუდებოდნენ თურმე მოზარდები, მათზე უკეთ არავინ იცოდა, როგორი გულისხმიერი და ქველმოქმედი ხალხი ცხოვრობდა ქალაქში...

●

როცა ვაგონის ბინადარნი დააპატიმრეს, ქალაქში ისეთ რამეებს ამბობდნენ, თმები ყალყზე დაგიდგებოდათ და თუმცა საშინელი ისტორიების მოყვარული მკითხველი, მძაფრი დეტექტივის მოსასმენად მოემზადა, თქვენს ცნობისმოყვარეობას ვერაფრით დავაკმაყოფილებთ. სანამ საქმე ძიებაშია...

●

ამბობენ...

კოლონიაში მოხვედრილი და გამოსწორებული მოზარდი არავის უნახავსო, პირიქით...

●

ამბობენ გოგო და ბიჭი რომ ერთად დაწვება, იქ და-ძმობა აღარ იქნებაო...

●

ამბობენ...

მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაული განსაკუთრებული ცინიზმითა და სისასტიკით გამოირჩევაო.

●

ამბობენ, განსაკუთრებით მძიმე პირობებში, პატიმარი ქალები არიანო.

●

ამბობენ...

ციხის საჭმელს ძაღლი არ დაკარებს პირსო.

●

ამბობენ, არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც მზად არიან პატიმრების ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად ფული გადარიცხონო.

არსებობს რომელიმე ბანკში მსგავსი ანგარიში?

შეიძლება პატიმრებს ეცვათ განსხვავებული ტანსაცმელი? ან თუნდაც ისეთი, ოსვენციმის პატიმრების ფორმას რომ არ გაგონებს?

●

ამბობენ, პატიმრების დასაქმებაც შეიძლება, როგორც ეს ამერიკაში ხდებაო.

●

ამბობენ...

●

ამბობენ...

●

ამბობენ ყველაზე მეტად მოზარდებს სითბო, სიყვარული და სიკეთე სჭირდებაო.

რა ღირს ბატონებო ერთი მუჭა სიკეთე?

რომელ კომერციულ ბანკს, კოოპერატივს, ორგანიზაციას გააჩნია იგი?..

ქეთევან მელიქიძე

## ბავშვები, ბუნება, მშვიდობა



სასწაული
ილია ივანოვი (აიდემირი, ბულგარეთი)



ონავარი
ანატოლი ლევკოვიჩი (ბელცი, მოლდავეთი)



თუშეთის ბილიკებზე
კობა ხარაძე (თბილისი)

⊙ გაგრძელება; დასაწყისი იხ. № 66, 68, 69, 73, 74, 76.

## სიყვარულსაც ცოდნა უნდა

დიდხანს ვფიქრობდი თუ როგორ დამეწერა ეს მოკლე ბარათი, — მოწოდება, რომ არ გწყენოდათ, ვინმეს თავმოყვარეობა არ შეგელახოდათ; იმიტომ, რომ... მეც ვიყავი ახალგაზრდა... მეც ბევრი რამ არ მომწონდა უფროსებისა, ადვილად ვერ ვიღებდი ჭკუადარიგებებს; მაგრამ გადავწყვიტე, სათქმელი უნდა ითქვას.

ჩვეულებრივად საქმეში ჩაუხედავი კაცისათვის ჩვენს წინაპართა მიერ დანატოვარი რომელიმე ნაციხარის, ნამონასტრალის, ან ნაქალაქარის ნანგრევების ირგვლივ მიწა უბრალოდ მიწაა, ნაგავია, რომელიც შეიძლება მოთხარო, გადაყარო, გაასუფთაო მისგან ნანგრევთა კედლები, შენობები და ა. შ. პროფესიონალისთვის, არქეოლოგისათვის კი ეს ნანგრევითა და ნაგვით შექმნილი მიწა „კულტურული ფენაა", რომელიც დიდ ისტორიულ ინფორმაციას შეიცავს და რომლისადმი უხეში მოპყრობა არ შეიძლება, უხეში შეხება გამორიცხულია; თუ არა ისტორია, დაემსგავსება დახეულ წიგნს, რომლის წაკითხვა შეუძლებელია. დიახ, ძველ წიგნს, ძველ ხელნაწერს; რადგან არქეოლოგიური ძეგლი, თავისი კულტურული ფენით, სწორედ წაკითხვადი და გაშიფრვადია მისთვის, ვინც ფლობს ამ ხელოვნებას.

მაინც არ არის კულტურული ფენა, რას შეიცავს იგი? ვიმეორებთ იგი ნაგავის ფენაა, რომელიც ადამიანის მოქმედების კვალსა და ნაშთს შეიცავს; ამდენად კულტურული ფენა ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობის (სამეურნეო, ყოფითი, კულტურული, საომარი და სხვ.). აურაცხელ სიმრავლისა, თუ მრავალფეროვანი ნაშთების კომპლექსითაა წარმოდგენილი. ეს ნაშთები შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ნაგებობანი, მთლიანი თუ ნატეხებით წარმოდგენილი ნივთიერი მასალა, იარაღი, ჭურჭელი, სამკაული, მაგრამ არც ამ ცალკეულ ფაქტთა მოპოვებაა მთავარი და სრული სურათის შემქმნელი. მთავარი ისაა, რომ თითოეული ეპოქის კულტურულ ფენას აქვს თავისი ისტორია და მას ჩვენ ვერ გავიგებთ, თუ არ დავადგინეთ მისი თითოეული კომპონენტის ადგილი რთულ სისტემაში, როგორ მოხვდა იგი ამ კომპლექსში, როგორი იყო მისი ფუნქცია და როლი, მიმართება სხვა კომპონენტებთან. მოკლედ, მხოლოდ გამოცდილ არქეოლოგს შეუძლია გაარკვიოს, თუ რომელ პერიოდს და რომელ ხალხს ეკუთვნოდა ესა თუ ის ნასახლარი, სამაროვანი, ნატაძრალი, ვინ მტრობდა მას, ვინ დაანგრია და გადაბუგა მათი „ბუდეები".

კულტურული ფენის, არქეოლოგიური მასალის ასეთ წაკითხვას, არა თუ სხვა სპეციალობის, ისტორიული მეცნიერების სხვა მომიჯნავე დარგის წარმომადგენლებიც ვერ შეძლებენ. არა და ბოლო, თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე, გახშირდა კეთილშობილური სურვილებით ანთებული, ძეგლების მოყვარული ადამიანების ასეთი, არცთუ კომპეტენტური ჩარევა საქმეში. ისინი უმეტესად ახალგაზრდები, მოსწავლე-სტუდენტობაა. უყვართ მათ წინაპართა ნამოქმედარი, ნაგებ-ნალავწი ციხე-სიმაგრეები თუ ეკლესია-მონასტრები, უძველეს ნასოფლართა თუ ნაქალაქართა ნაშთები. უყვართ და სურთ მათი შეხება, მათთან „საუბარი", მათი ამეტყველება, მოვლა-მოფერება. ასე კეთილშობილური მიზნით იწყებენ ხოლმე ახალგაზრდები ძეგლთა მიდამოს „გასუფთავებას", როგორც ზედაპირულად, ისე უფრო ღრმადაც. ცდილობენ მიწისაგან გაწმინდონ კედლები, გამოამზეურონ არქიტექტურული დეტალები, მიაგნონ იატაკის დონეს და სხვ. და... მათ გამოუცდელ თვალს ეპარება, რომ ამ მიწასა და ნაგავს საკმაოდ უხვად მიჰყვება „რაღაც ჭურჭლის" ნამტვრევები, დაჟანგული ნივთები... აი, აქ იწყება უნებური ტრაგედია; ისპობა ერთ-ერთი ყველაზე სანდო და საინტერესო წყარო, ძეგლის „კულტურული ფენა". წყალში იყრება აუარებელი ინფორმაცია, ნადგურდება ჩვენივე ისტორია...

ნუ მიწყენთ, ეს ასეა. ნუ ჩამთვლით მტრად, თქვენდამი დაპირისპირებულ რეტროგრადად. ასეთი შეცდომების მაგალითი სამწუხაროდ ბევრია, ჩამოთვლას არ შევუდგები. ერთ-ერთ მაგალითად ალავერდის ამბებიც კმარა; როცა მის ეზოში ათეული საუკუნეების მანძილზე შექმნილი 1,5-2 მეტრიანი კულტურული ფენა „მოხსნეს" ახმეტელმა ახალგაზრდებმა. ამის დოკუმენტი თვითონ დაგვიტოვა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" ფურცლებზე (1988 წ. 28 მაისი) მაშინდელმა ახმეტის რაიონის კომკავშირის კომიტეტის პირველმა მდივანმა, დიახ, მთელი საქართველოს მასშტაბით კომკავშირი მაშინ მაგრად ჩააფრინდა ისტორიულ ძეგლთა ირგვლივ აჟიოტაჟს. ამ კამპანიურობამ შეიწირა მრავალი ძეგლი. უპირველეს ყოვლისა დაზიანდა შუა საუკუნეთა არქეოლოგია, ქართული შუა საუკუნეების ისტორია.

მე მეტს აღარ გავაგრძელებ, მეგობრებო, ახალგაზრდებო, მოსწავლეებო, სტუდენტებო. ჩემთვის თვითმიზანი არაა ვინმეს მხილება; მითუმეტეს ქართველების საუკეთესო ნაწილისა, ახალგაზრდობისა. ჩემი მიზანია გავერკვეთ ჩვენს საერთო შეცდომაში დღეს, რომ ხვალ საქმე უკეთ წარვმართოთ, გთხოვთ, ვისაც ისტორიულ ძეგლთა მოვლა-პატრონობა გწადიათ, უპირველესად დავიწყოთ ძეგლის გაცნობა-შესწავლით, შევაგროვეთ მათ შესახებ არსებული ლიტერატურა, წყაროები, გადმოცემა-ლეგენდები. გაიაზრეთ თითოეულის შექმნის ეპოქის თავისებურებანი და ტენდენციები. დაუკავშირდით საკითხის შემსწავლელ ისტორიკოსებს, განსაკუთრებით კი არქეოლოგებს. ქმედება? ქმედება მერე, ამ მომზადების შემდეგ დაიწყეთ, — მხოლოდ და მხოლოდ სპეციალისტის ჩარევითა და ხელმძღვანელობით. თუმცა ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ ყველა „სპეციალისტს" არ აქვს ძეგლთან შეხების უფლება, თხრა და „წმენდა". ამის რეკომენდაციას იძლევა მხოლოდ არქეოლოგიური კომისია. ის განსაზღვრავს თუ რომელი ძეგლის გასათხრელ-გასაწმენდი და რომელი არა.

ახალგაზრდებო, გთხოვთ სწორად, სასიკეთოდ მოახმაროთ ეროვნულ საქმეს თქვენი ენერგია. მე კიდევ ერთხელ გიხდით მოკრძალებით ბოდიშს „ჭკუის სწავლებისათვის", მაგრამ გთხოვთ სწორად გამიგოთ. ისე კი, თუ ვინმეს გვერჩის ძალღონე და შეგწევს თავდადების უნარი, წელს სჯობს მიწისძვრით დაზიანებულ ქართლს და რაჭა-იმერეთს მიაშუროთ.

ბოლოს მსურს შეგახსენოთ, რომ თუ წერილში აღძრულ საკითხთან დაკავშირებით, ან საერთოდ კონსულტაცია-რჩევა დაგჭირდათ, მიმართეთ **საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებას (შავთელის ქუჩა № 57 ანჩისხატთან, ტელ.: 99-84-47 (ან, არქეოლოგიური კვლევის ცენტრს (დიმიტრი უზნაძის ქ. 14. ძველი უნივერმაღის მახლობლად. ტელ. 96-98-58) ან, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს (კეცხოველის ქ. № 10. ტელეფონი: 99-01-82).**

პატივისცემით
**ნოე აფხაზავა,**
არქეოლოგი, საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოების გამგეობის წევრი.

## სასწავლებლად — სოლკლეიკსიტში

წელიწადზე მეტია, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის ასოციაცია „იყალთო XXI". ამ ასოციაციასთან და ამერიკის იუტას შტატის ქალაქ სოლკლეიკსიტის როტარი-კლუბთან შეიქმნა ერთობლივი ფირმა „ამირანი", რომელმაც უკვე გამართა რამდენიმე საქველმოქმედო ღონისძიება. კერძოდ, მათ მიერ მოწვეული ექიმი-სტომატოლოგები რამდენიმე ხანს მუშაობდნენ თბილისში და თავიანთ ქართველ კოლეგებს მნიშვნელოვანი მეცნიერული და მატერიალური დახმარებაც გაუწიეს. ამ ფირმის მეშვეობითვე მოხერხდა ქართველი სპორტსმენის გიორგი რთველიაშვილის ამერიკაში სამკურნალოდ წაყვანა, ხოლო მისი მკურნალობის საფასურს, რაც საკმაოდ მაღალია, სწორედ სოლკლეიკსიტის როტარი-კლუბი გადაიხდის. და აი, სულ ახლახანს ამერიკელებმა ორი ქართველი ბავშვის სასწავლებლად მიწვევაც გადაწყვიტეს. ბავშვები ერთი წლის განმავლობაში ისწავლიან დამეგობრებულ ქალაქში და მათი იქ ყოფნის მთელ ხარჯებს კვლავ კლუბი აანაზღაურებს.

ამასობაში კი... სოლკლეიკსიტიდან თბილისს ესტუმრა კლუბის ერთ-ერთი წევრის შვილი, 17 წლის სამანტა სტიუარტი. მისი მამა — სემ სტიუარტი სხვა ბიზნესმენებთან ერთად გასული წლის ნოემბერში ჩამოვიდა საქართველოში და როგორც სამანტა ამბობს, აქაურობით იმდენად მოიხიბლა, რომ უკან დაბრუნებისთანავე უთხრა თავის უფროს ქალიშვილს: მე მინდა, რომ შენ ის ქვეყანა და იქაური ხალხი გაიცნოო. სასკოლო კურსის დამთავრების შემდეგ კი (სამანტა მე-12 კლასში გადავიდა) იგი თვითმფრინავში ჩასვა და საქართველოში გამოუშვა. სამანტა ამბობს, რომ მამამისს ასეთი რამ არასოდეს ჩაუდენია. იგი თავის ხუთ შვილს თავს ევლება და მათ მარტო არსად უშვებს, მაგრამ საქართველოში ისე გამოაცილა, თითქოს მეზობელ შტატში მცხოვრებ თავის მახლობლებთან უშვებდა.

თბილისში მას მასპინძელი — „იყალთო XXI"-ის წარმომადგენელი ზურაბ ხვთისიაშვილი დახვდა თავისი 15 წლის თამრიკოთი, რომელიც ახლა სამანტას ექსკურსიამძღოლი და თარჯიმანია. სამანტა მოგვითხრობს: „მამა მეუბნებოდა, რომ ესაა განსაკუთრებული ქვეყანა, ძალზე მდიდარი ისტორიული კულტურით; რომ ქართველებს რაღაცა განსაკუთრებული აქვთ, სხვებისგან განსხვავებული. თავიდან ეს ვერ აღვიქვი, მაგრამ როდესაც თქვენი მუზეუმები და ისტორიული ძეგლები ვნახე, მივხვდი, რომ ამ ქვეყანას მართლაც სხვანაირი წარსული ჰქონია. ამიტომაც კარგად მესმის თქვენი სწრაფვა თავისუფლებისაკენ...

ჩემთვის ძალზე საინტერესოა თამრიკოს ოჯახში ცხოვრება. ჩვენ 5 და-ძმა ვართ და კარგად ვიცი ოჯახის ფასი, მაგრამ საქართველოში სხვანაირი ოჯახებია, სადაც გამოკვეთილია დედის როლი. თამრიკოს დედა ოჯახში მთავარი ფიგურაა. ჩემთან კი ეს ასე არაა. ჩვენ ცხოვრების უკეთესი პირობები გვაქვს, მაგრამ თქვენთან ბევრი რამაა საინტერესო. საქართველოში ყოფნის დროს მე დღიურებად ვწერ ჩემს შთაბეჭდილებებს და სწორედ წუხელ ვწერდი, რომ აქედან წასვლა გამიჭირდება, ყველას ისე მივეჩვიე-თქო.

იმ თვითმფრინავში, რომლითაც ჩამოვედი, კიდევ 60 ამერიკელი ბავშვი იყო. ისინი სხვადასხვა რესპუბლიკაში მოდიოდნენ სტუმრად. ასეთი კონტაქტები საჭირო და სასარგებლოა. თუ გვინდა, რომ ჩვენი ქვეყნები დამეგობრდეს, ჩვეულებრივმა ადამიანებმაც უნდა გაიცნონ ერთმანეთი. შევეცდები, რომ თამრიკოს მეც კარგი მასპინძლობა გავუწიო"...

თამრიკო ხვთისიაშვილი ზემოთნახსენებ იმ ერთ-ერთ ბავშთაგანია, რომელიც ამერიკაში ისწავლის. ის ბევრად არ განსხვავდება თავის ამერიკელი მეგობრისაგან. ინგლისურშიც საკმაოდ გაწაფულა და იქაური სკოლის შესახებაც უკვე იმდენი რამ მოუსმენია, ამერიკაში სწავლისა აღარ ეშინია. თანაც, როგორც სამანტა ამბობს, მათ სკოლებში სწავლა უფრო სახალისოა...

ამ დღეებში სამანტა შავი ზღვისპირეთში მიდის დასასვენებლად. სექტემბრისთვის კი თამრიკოსთან ერთად გაემგზავრება სოლკლეიკსიტში. თბილისში კი საფუძველი ეყრება ქართულ როტარი-კლუბს, საქმიანი ადამიანების საკრებულოს.

თინა ბუჩუკური



## იცნობდეთ — ახალი თავისუფალი ჟურნალი

დაინტერესებულმა მკითხველმა იცის იოგასა და ნატუროპატიის სახალხო უნივერსიტეტის საქმიანობა. დიდიდან დაარსებისა ამ უნივერსიტეტში ბევრი დაეუფლა ჰათჰა-იოგას ასანებს, ბევრმა გაიკაჟა ჯანმრთელობა, შეისწავლა ნატუროპატიის საფუძვლები... სწორედ ამიტომ მიიქცია იოგას უნივერსიტეტმა ფართო საზოგადოების ყურადღება. ამ ინტერესს დღეიდან კიდევ უფრო გაზრდის ერთი სასიამოვნო ფაქტი: კერძოდ, ახლახან 25 ათასიანი ტირაჟით გამოვიდა ახალი ჟურნალი „იოგა და არა მხოლოდ იოგა". მისი დამფუძნებელია იოგასა და ნატუროპატიის სახალხო უნივერსიტეტი. ეს ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება „ცოდნის" იოგასა და ნატუროპატიის სახალხო უნივერსიტეტისა და გამომცემლობა „მეცნიერების" ერთობლივ გამოცემას.

სარედაქციო წერილში ნათქვამია, რომ ეს იქნება ჟურნალი იოგაზე და არა მხოლოდ მასზე, არამედ ყველაფერზე, რაც ადამიანს, მის ჯანმრთელობას შეეხება, მის ინტერესებსა და სურვილებს უპასუხებს.

თქმა არ უნდა, ურიგო ჩანაფიქრი როდია, მაგრამ არის ერთი უხერხული მომენტიც. ჟურნალში, რომელიც სახელწოდებაშივე გამოხატავს ინტერესს იოგას სისტემისადმი, პირველ ნომერში 23 გვერდიდან მხოლოდ 3-4 გვერდი დაეთმო უშუალოდ იოგასადმი მიძღვნილ მასალებს. თუმცა ეს ხარვეზი, ალბათ, მომავალში გამოსწორდება. სხვა მხრივ, ჟურნალი სასიამოვნოდაა გაფორმებული, არის საინტერესო, საკითხავი მასალები, უხვადაა ილუსტრაციებიც. იმედია, ახალ ჟურნალს არ გაუჭირდება მკითხველთა გულის მონადირება.

საკუთარი ინფორმაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მუდმივი მაძიებელი



მესამე თვეა საპატრიარქოს ეზოში საჯრეთლის დაქენებული კაკუნი ისმის. ოსტატი ჯვარს კვეთს მარმარილოს ქვაში და ისიც რელიეფურად ივსება ძველი და ახალი აღთქმის ეპიზოდური ფრაგმენტებით. ვინც ჯემალ ბჟალავას იცნობს, მისი ხელოვნების ხიბლსაც ზიარებია. ხაზებს სიფაქიზით კვეთს, ძალას ატანს ურჩ საჭრეთელს, ძარღვები ებერება ქვას, სიცოცხლე იბუდებს მასში. თეთრი მტვერი ეკრობა გაოფლილ სახეზე და ვაჟკაცური იერი მითიური სილამაზით უმშვენდება. შრომის პროცესი საფიქრალს უჩენს, სულს უფორიაქებს და წვდომის სურვილს უათკეცებს, სამაგიეროდ დაღლა ანიჭებს სიხარულს.

მარტვილის ნაჭკიდუს კლდეზე გამოსახულია ცხენზე ამხედრებული ჭაბუკის ფრესკული გამოსახულება, რომელიც ჯემალის სერიოზული ნამუშევარია ბავშვობის ასაკში. ონიორეს სათავეებთან ქანგისფერი კლდის, ბზისა და კორომის ხეობაში აღზრდილი თავს ბუნების შეგირდად თვლის. ამიტომაც ესწრაფვის ბუნებისა და ხელოვნების ურთიერთჰარმონიას. ინტერიერში უჭირს შრომა, ცის ქვეშ კი წვიმასა და ქარში თითქოს დიდოსტატთან საუბარსა და კამათში აღწევს სრულყოფილებას. ათავისუფლებს სულს საზღვრისაგან და ირეალურში პოულობს იმას, რაც უნდა შთაბეროს ქვას. ბუნების სიყვარულმა ხეტიალიც ასწავლა და დარიალის ხეობის ერთ-ერთ გამოქვაბულში „არამხუტუ" ამოაკვეთინა ნაცრისფერი გრანიტის კლდეზე. აქვე შეიქმნა „ვობიშხაც", პექა-ქუხილის ღვთაება.

მითოლოგია და რელიგია წარმოადგენს მისი შემოქმედების მთავარ თემას. არაერთი გმირისა და პერსონაჟისათვის შეუსხამს ხორცი კირქვასა და გრანიტში, დიაბაზსა და მარმარილოში. დღეს მრავალი მათგანი საქართველოს სხვადასხვა კუთხეს ამშვენებს. მათგან ზოგიერთი წარმოდგენილია სიონის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის ეზოში: „ჯვარი" თეთრ მარმარილოში, „პეტრე იბერი" რიყის ქვაში, „წმინდა გიორგი" დიაბაზში. მასვე ეკუთვნის სამების ეკლესიის ექსტერიერის წინა მდებარე დაბალი რელიეფები, „რუსთაველის სახე", მითოლოგიიდან „როკაპი" და სხვები...

რამდენიმე წლის წინ მცხეთაში გამართულ მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე მან გრანპრი დაიმსახურა ნამუშევრისათვის: „მცხეთის ძელიცხოველი".

სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ურთულეს პირობებში მოუწია შრომამ. იგივე ითქმის დღევანდელ დღეზეც. სახელოსნოს უქონლობის გამო ნამუშევრების ძირითად ნაწილს მიწაში ინახავს. ეს სათქმელად უხერხულია, მოსასმენად არასასიამოვნო, შემოქმედისათვის კი პირდაპირ ტრაგედიაა.

მეგობრებით კი ნამდვილად განებივრებულია ოსტატი. უყვართ ალალი კაცი, პატივს სცემენ და ისიც ყველას სიკეთით და მადლიერებით უპასუხებს. განსაკუთრებული როლი შეასრულეს მის ცხოვრებაში ბატონებმა: კონსტანტინე გამსახურდიამ, ლევან გოთუამ, ლადო გუდიაშვილმა, გივი ელიავამ. მათ დიდი ამაგი მიუძღვით შემოქმედის ცხოვრების გზაზე დაყენებაში. მათ მიერ დამოძღვრილი, უკვე სიჭარმაგეში გადასული ადამიანი ხეტიალსა და ძიებაში ათენ-ალამებს. საჭრეთელს არ იცილებს წამით, სიცოცხლეს ანიჭებს ქვებს და ჰმადლობს უფალს, რომელიც მოწყალეა მაძიებელთა მიმართ.

**მარინე ეხართია,**
**ჟურნალისტიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი**

# გაიმართა მოსწავლეთა საქველმოქმედო კონცერტი

ქველმოქმედება ღვთიური რამაა, იგი არ ისწავლება, მაგრამ ყველა ღირსეული ქართველის თანდაყოლილი თვისებაა. სასიხარულოა, რომ მოსწავლეები აქედანვე იჩენენ მოყვასისადმი თანადგომას და თავიანთი წვლილი შეაქვთ მიწისძვრით დაზარალებული რაიონების დასახმარებლად. ამის დასტური იყო ამას წინათ ფილარმონიაში გამართული საქველმოქმედო კონცერტი.

კონცერტის ინიციატორი იყო ქართულ-ინგლისური კულტურის ცენტრ-ფირმა „მთვარის გლობუსთან" არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ფარ-ხმალი" (მხატვრული ხელმძღვანელი კობა საბაშვილი. ქორეოგრაფი — ნ. ცომაია), ანსამბლ „ფარ-ხმალთან" ერთად კონცერტში მონაწილეობდნენ საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სახლთან არსებული ანსამბლები „მერანი" და „იმედი".

თბილისის 165-ე საშუალო სკოლის მესამე კლასის მოსწავლემ თეა საბაშვილმა მისასალმებელი სიტყვით გახსნა კონცერტი. ანსამბლ „ფარ-ხმალის" მომღერალთა გუნდში (ხელმძღვანელი ლალი ნადირაშვილი) 6 წლიდან 13 წლამდე ბავშვები მღერიან, მათ გააგრძელეს კონცერტი და შეასრულეს ცნობილი სიმღერა „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს". პატარებმა ფანდურისა და სალამური თანხლებით ჩინებულად შეასრულეს რამდენიმე ხალხური სიმღერა და მაყურებელთა მოწონებაც დაიმსახურეს.

ანსამბლ „ფარ-ხმალის" მოცეკვავეთა ჯგუფის ხელმძღვანელი კობა საბაშვილი ბატონ რეზო ჭეიშვილს აღზრდილია. მოსწავლე და მასწავლებელი, როგორც კოლეგები, ამ დღეს პირველად წარსდგნენ მაყურებლის წინაშე. ანსამბლ „ფარ-ხმალის" მოცეკვავეებს პირველი საგასტროლო კონცერტი ლენინგრადში ჰქონდათ — ქართველთა სათვისტომოს წარმომადგენლებს გააცნეს თავიანთი ხელოვნება. მაგრამ საქართველოში, ქართველ მაყურებელთა წინაშე გამოსვლა სულ სხვაა, რამეთუ ჩვენი მაყურებელი ყველაზე მკაცრი შემფასებელია, ამიტომ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ემზადებოდნენ ამ დღისათვის. მთავარი ისაა, რომ ეს ახლადჩამოყალიბებული კოლექტივი სიყვარულითა და მეგობრობითაა შეკრული.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ეს კონცერტი საქველმოქმედო იყო. კონცერტზე შემოსული თანხა, დაე, შენებაში მოხმარდეთ ჩვენს თანამემამულეებს.

**ნინო ბიწაძე**

# საჭირო და აუცილებელი წიგნი

ამ ცოტა ხნის წინათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა დოცენტ გელა მარგველიანის სახელმძღვანელო — ჩრდილოეთ ამერიკის ფიზიკური გეოგრაფია (რედაქტორი პროფ. ქრ. ჯაყელი, რეცენზენტები, პროფ. გ. დევდარიანი და ფიზიკური გეოგრაფიის კათედრის გამგე დოც. მ. ხარატიშვილი).

წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს არა მარტო უმაღლესი სკოლის გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებს, არამედ საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლებსა და არაგეოგრაფ მკითხველებსაც.

სახელმძღვანელო შედგენილია ახალი საუნივერსიტეტო პროგრამის მიხედვით. მასში მოხდენილად არის ჩართული მდიდარი საილუსტრაციო მასალა: სქემატური რუკები, დიაგრამები, ცხრილები და კონტინენტის ლანდშაფტის დამახასიათებელი ფოტოხედები.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ავტორი ცენტრალურ ამერიკას არ განიხილავს ჩრდილოეთ ამერიკის ფარგლებში, იგი მას ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის მთლიან და უწყვეტ „სხეულად" წარმოადგენს.

თუმცა ავტორის მიმართ გვაქვს ერთი მოკრძალებული შენიშვნაც: სახელმძღვანელოში დიდი ადგილი ეთმობა კონტინენტის ჰავის დახასიათებას. ამ მხრივ საილუსტრაციო მასალაც უხვად აქვს მომარჯვებული. კარგი იქნებოდა მოცემული ყოფილიყო აგრეთვე, შემაჯამებელი სქემატური რუკა, (მხედველობაში მაქვს კლიმატური სარტყელების და ოლქების (ტიპების) რუკა.)

გამომცემლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წიგნი პოლიგრაფიულად მაღალ დონეზეა გამოცემული, მაგრამ სამწუხაროდ ძალზე მცირე ტირაჟით, ამის გამო წიგნმა მინიმალურადაც კი ვერ დააკმაყოფილა მისი მომხმარებელი. კონკრეტულ მაგალითად ისიც კმარა, რომ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ, გეოგრაფიის კათედრამ და სტუდენტობამ აღნიშნული სახელმძღვანელოს ვერც ერთი ეგზემპლიარის შეძენა ვერ მოახერხეს.

**ოთარ ჩხეიძე,**
**დალი მიქაუტაძე,**
**ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრის დოცენტები, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატები.**

# „ორი ბატონის" მსახური









კარგი ტრადიციაა დამკვიდრებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე, სადაც ეწყობა იმ სტუდენტ-არქიტექტორთა ნამუშევრების გამოფენა, რომლებიც ძალას ცდიან მხატვრობაშიც. ამ ცოტა ხნის წინათ არქიტექტურის ფაკულტეტის საგამოფენო დარბაზში ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრებით წარსდგა ამავე ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი ინგა ფრანგულაშვილი.

— ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე, გვხვდება სევდის აღმძვრელი ამბებიც, სასაცილოც, გამაღიზიანებელიც, — ამბობს ინგა, — ამიტომაც ჩემს ნახატებში ლირიკას სცვლის ირონია. პრეტენზიულობად ნუ მიიჩნევთ და მსურს მნახველზე მოვახდინო ზეგავლენა, რათა ადამიანის არსებაში დაითრგუნოს ბოროტი და იზეიმოს სიკეთემ, მინდა ადამიანებს დავანახო, რომ სიკეთე ბოროტებაზე ძლიერია და ადრე თუ გვიან იგი უსათუოდ იზეიმებს გამარჯვებას.

ღმერთმა ქნას, რომ მომავალშიც სიკეთისათვის ემსახუროს ორი ბატონის — არქიტექტურისა და მხატვრობის — მსახურს ინგა ფრანგულაშვილს.

**თამარ ლალაზაშვილი**

**სურათებზე:** ინგა ფრანგულაშვილის ნამუშევრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ უშლის ხელს ყმაწვილებს?





**საქართველოს** რესპუბლიკის მთავრობის შენობის სიახლოვეს, დიდ სპორტულ დარბაზში, კარატეს კლუბ „ჯიქი-89“-ს წევრები ინტენსიურად მეცადინეობენ. თვალს უხარია მათი სიმარდე-მოქნილობა, გაღონიერების დაუოკებელი წყურვილი. იშვიათად, მაგრამ მაინც ვეწვევი ხოლმე დარბაზს, რადგან იქ ჩემი ვაჟებიც ვარჯიშობენ. მანამდე სპორტის რამდენიმე სახე გამოიცვალეს, კარატემ კი მაგნიტივით მიიზიდა ისინი.

ერთხელ, მივედი თუ არა დარბაზში, რამდენიმე ათეული მშობლის რაღაც ცხარე საუბარს შევესწარი.

მოვნახე კლუბის პრეზიდენტი, თბილისის რამდენიმეგზის ჩემპიონი კარატეში ბატონი გოჩა ჯავახია და ვთხოვე მოეთხრო თავის კლუბზე და, ცხადია, წამოჭრილ პრობლემებზე.

**— როდის შეიქმნა „ჯიქი-89“?**

— „ჯიქი-89 შეიქმნა 1989 წლის სექტემბერში. მანამდე ეს კლუბი არაოფიციალურად არსებობდა. საქმე იმაშია, რომ, მოგეხსენებათ, კარატე, როგორც სპორტის სახე, აიკრძალა. მაგრამ რამდენიმე კაცს, ამ საქმის ერთგულს, სჯეროდა მისი სიკეთისა და საჭიროებისა. ჯგუფში ვიყავით 25 კაცამდე. ვვარჯიშობდით ინტენსიურად ხან ბუნების წიაღში, ხან ოთახებში. ხან ვითომდა ნიჩბოსნები ვიყავით, ხან ფეხბურთელები... ეს იმიტომ, რომ ზოგჯერ მიგვეღწია ვარჯიშის ნორმალური პირობებისთვის. აი, ასე ვწვალობდით. როგორც გითხარით, 1989 წელს ქავთარაძის ქუჩაზე, № 2 ექსპერიმენტულ საშუალო სკოლაში დავიწყეთ პირველი ოფიციალური ვარჯიშები. იქ ჩვენი ჯგუფი 50 კაცამდე გაიზარდა. შემდეგ გაიზარდა მსურველთა რაოდენობა და იძულებული გავხდით გვეძებნა შესაფერისი დარბაზი. ამჟამად დედაქალაქში გვაქვს სამი დარბაზი და ერთი თეთრი წყაროს რ-ის სოფელ ასურეთში. ვხედავთ მოვარჯიშეთა ენთუზიაზმს და ეს გვმატებს ენერგიას. რაც შეეხება ძირითად დარბაზს, სადაც ახლა ვიმყოფებით, ადრე ეკუთვნოდა ჯანდაცვის სამინისტროს, მაგრამ ფაქტობრივად სარგებლობდნენ კომპარტიის ცკ-ს თანამშრომლები. ამჟამად აქ ვარჯიშობს ოთხი ჯგუფი — 400 ბავშვი, მხოლოდ საღამოს 17 საათის შემდეგ იწყება ვარჯიშები და 22 საათამდე გრძელდება, ბავშვებთან უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები, გამოცდილი სპორტსმენები მუშაობენ. კერძოდ, კლუბის ვიცე-პრეზიდენტი რევაზ ჩაჩუა, პასუხისმგებელი მდივანი კახა შარტავა, კლუბის საბჭოს წევრი გია ზუკაკიშვილი. ამათ პრაქტიკულ და მეთოდურ დახმარებას უწევენ საბჭოს სხვა წევრებიც — ვაჟა ბარამიძე, ნიკა გოგოძე, გია კილაძე და კლუბის მენეჯერი ლევან შენგელია.

**— თქვენ თქვით სპეციალისტები არიანო ეს პედაგოგები, რას გულისხმობდით?**

— ახლავე მოგახსენებთ. თითოეულ მათგანს არანაკლებ 7-8 წლის სტაჟი აქვს კარატეში მეცადინეობისა. გარდა ამისა, თბილისის და რესპუბლიკის ჩემპიონატებზე არაერთხელ მოუპოვებიათ საპრიზო ადგილები. მაგრამ ეს პედაგოგები შეირჩნენ მათი დამოკიდებულებით ბავშვების აღზრდისადმი. ეს ძალზე სათუთი საქმეა. იყვნენ სხვებიც, მაგრამ ვერ გაამართლეს. პედაგოგობა ურთულესი საქმეა. ყველას არ ძალუძს ამ პროფესიის დაუფლება.

ჩვენი სკოლის რიგიანი მუშაობის შესახებ მეტყველებს აქ მოვარჯიშე ყმაწვილების სპორტული შედეგები. კერძოდ, ჭაბუკთა რესპუბლიკურ ტურნირში, 1990 წლის დეკემბერში „ჯიქი-89“-ის წევრებიდან, 9 მონაწილიდან 6-მა საპრიზო ადგილი დაიკავა. აქედან 2 ჩემპიონი გახდა, 4 მეორეზე გავიდა.

სხვათაშორის, 1-2 მაისს სპორტის სასახლეში ჩვენი კლუბის ინიციატივით და ორგანიზაციით ჩატარდა საქველმოქმედო ტურნირი 14-17 წლის ჭაბუკებს შორის. შემოსავალი, დაახლოებით ასი ათას მანეთამდე, პირადად გადავეცით სამაჩაბლოში დაღუპულ მილიციის თანამშრომელთა ოჯახებს.

**— გოჩა, რას იტყვით კარატეს თქვენეული ხტილის შესახებ?**

— იმთავითვე მეცადინეობა დავიწყეთ ლაოსის მკვიდრის ბუნლაპ ჩანთხავისუკის მეთოდით. ბუნლაპი თავის სკოლას „ნეკორიუს“ ეძახდა. შემდეგ ვსწავლობდით და ვვარჯიშობდით „შოტოკანის“ სკოლის სტილით. შემდეგ გავრცელდა ჩინური სკოლის მეთოდიკა, რასაც ჩვენში კუნფუს ეძახიან. შემდეგ მივუბრუნდით იაპონურ „შიტორიუს“.

აქვე პრინციპულად უნდა აღვნიშნო — არცერთი ზემოხსენებული სკოლის დოგმატური მიმდევრები ჩვენ არა ვყოფილვართ. თითოეული ამ სისტემიდან ჩვენ შევითვისეთ უკეთესი თვისებები, და ყოველი მათგანიდან დღეს ბავშვებს ვაწოდებთ ყველაზე უფრო დახვეწილ, სასარგებლო და ჩვენი აზრით, საუკეთესო ილეთებს.

ყველა სისტემა შინაარსობლივად თავდაცვას უკავშირდება. ამდენად, ჩვენი კლუბი უნივერსალური ხასიათისაა. აქვე უნდა დავუმატო, რომ ჩვენ დავუკავშირდით იმ სკოლების წარმომადგენლებს, რომლებთანაც მანამდე არ გვქონია ურთიერთობა (აიკიდო, ტაიკვანდო, ამერიკული კარატე). ეს დაგვჭირდა ჩვენი კლუბის მოვარჯიშეთა არსენალის გასაღრმავებლად. ჩვენი დევიზია—„ადამიანი უნდა ცხოვრობდეს არა პრინციპებისთვის, არამედ პრინციპები — ადამიანებისათვის“.

**— რას ნიშნავს ამერიკული კარატე, ის ხომ იაპონურია?**

—დიახ, ამერიკული კარატე შექმნა ცნობილმა მსახიობმა ჩაკ ნორისმა, რომელიც ამერიკის შვიდგზის ჩემპიონი იყო კარატეში. მაინც მრავალი სკოლა გამოიარა, შეისისხლხორცა სხვადასხვა სტილის საუკეთესო ხერხები და გამოცდილების საფუძველზე შექმნა ახალი, ე.წ. ამერიკული კარატე, რითაც, სხვათაშორის ძალზე ამაყობენ ამერიკელები.

სხვათაშორის, „ჯიქი 89“-ის წარმომადგენელი, კერძოდ, კლუბის მენეჯერი ბატონი ლევან შენგელია იმყოფებოდა ამერიკაში, მოიარა სხვადასხვა კარატეს სკოლა და პირადად გაეცნო ჩაკ ნორისს. ბატონ ჩაკ ნორისს ლევანმა გადასცა ჩემი, როგორც კლუბის პრეზიდენტის წერილი. მასში ვთხოვდი მსახიობს, რომ ურთიერთობა დაემყარებინა ჩვენს კლუბთან. ნორისი ჩვენს წინადადებას მოწონებით შეხვდა. ჩვენ განზრახული გვაქვს, თუ ყველაფერი მშვიდობიანად წარიმართა, შემოდგომაზე კლუბის რამდენიმე გამორჩეულ სპორტსმენთან ერთად ჩავიდეთ ამერიკაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. სხვათა შორის, მიღებული მაქვს ამერიკიდან ტაიკვანდოს ფედერაციის თავმჯდომარის ბატონ კანგის (იგი ფლობს VII დანს თავის სკოლაში, არის აშშ-ს 5-გზის ჩემპიონი) წერილი მოწვევის შესახებ.

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რატომ არიან ბავშვების მშობლები ახე შეშფოთებულნი?**

— ერთი წელია ნორმალურად ვარჯიშობენ ბავშვები, მაგრამ ამ ბოლო დროს ვიღაც-ვიღაცეებს გაუჩნდათ სურვილი დარბაზის წართმევისა. მათ მოგვმართეს, რათა შეგვეწყვიტა ვარჯიში, ან უკიდურეს შემთხვევაში, შეგვემცირებინა მოვარჯიშეთა რაოდენობა.

ამ დარბაზში მეცადინეობა გასული წლის სექტემბერში დაიწყო. მაშინ ერთი ჯგუფი იწვრთნებოდა. ახლა კი, ივნისის პირველი დეკადის მიწურულს, ყმაწვილთა რაოდენობა ოთხასს მიუახლოვდა. სულ ოთხი ჯგუფია. დარბაზი დაკავებულია ყოველ დღე 17 დან 22 საათამდე. თითო ჯგუფისათვის ბავშვთა რაოდენობა, ასი, ძალზე ბევრია. ჩვენი მიზანია, თუკი მთელი დღის განმავლობაში გადმოგვეცემა სპორტული დარბაზი, ადრე დილიდან მიმდინარეობდეს ვარჯიში და მომეცადინეთა რაოდენობამ 2400-ს მიაღწიოს.

ახლა არ იკითხავთ, ვინ არიან ეს ყმაწვილები? ძირითადად, ესენი მრავალშვილიანი ოჯახის წევრები, აგრეთვე დედით, ან მამით ობლები და ხელმოკლე ოჯახის შვილები არიან. აქ მომეცადინე ოთხასი ბავშვიდან მესამედილა თუ იხდის ვარჯიშის ღირებულებას. დანარჩენები ნაკლებადუზრუნველყოფილი ოჯახის წევრები არიან. სწორედ ამგვარი ოჯახის ბავშვები, უყურადღებოდ დარჩენილები, რა დასამალია და, ქუჩაში იზრდებიან და შემთხვევითი ადამიანების გავლენის ქვეშ ექცევიან.

აქვე დავძენ, რომ ბავშვებს 35 მანეთს ვახდევინებთ თვეში. ძირითადად ეს თანხა ხმარდება დარბაზის ყოველთვიურ გადასახადს, რაც 1200 მანეთს შეადგენს. ახლა მწვრთნელებს არ მივცეთ ხელფასი? მათ ხომ საკმაოდ შემოსავლიანი სამსახურები მიატოვეს კარატეს სიყვარულის გამო!

თითოეული პედაგოგი იმთავითვე პრაქტიკულად მხარში ედგა ეროვნულ მოძრაობას, რომელსაც ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა მეთაურობდნენ. ეს ახალგაზრდა მწვრთნელები შიშველი ხელებით იგერიებდნენ კბილებამდე აღჭურვილ, დამსჯელ სპეცრაზმებს ცხა აპრილს. ხოლო უცნობი გაზის მოწამვლისაგან ჩვენ დოზირებულმა შიმშილობამ და კარატესადმი უსაზღვრო ერთგულებამ გამოგვიყვანა. ჩვენვე ვიცავდით ქართულ სოფლებს ოსი ტერორისტებისაგან.

ჩვენი მიზანია მამულს პრაქტიკულად ვემსახუროთ, აღვუზარდოთ მას ხვალინდელი დამცველები. ხვალინდელ აღზრდას კი, ცნობილია, დღეს უნდა ჩაეყაროს საფუძველი.

აი, ამას არ გვანებებენ.

**ესაუბრა გრიგოლ რუხაია.**


# ბიზნესმენთა საყურადღებოდ!

მწვავე სასაქონლო დეფიციტის პირობებში თბილისის უნივერსალური ბირჟა საშუალებას გაძლევთ შეიძინოთ და გაყიდოთ ყველანაირი საქონელი.

## თბილისის უნივერსალური ბირჟა პირველ ვაჭრობას აწყობს 1991 წლის 10 ივლისს

გასაყიდად წარმოდგენილი იქნება საქონლის ფართო ასორტიმენტი. მათ შორისაა საშენი მასალები, სოფლის მეურნეობის პროდუქცია და კვების პროდუქტები, ავეჯი, ვიდეოტექნიკა, ელექტრომოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა სახალხო მეურნეობის საქონელი.

წარმოდგენილია მოთხოვნები სხვადასხვა სახის საქონლის შესასყიდად. მათ შორის: კვების მრეწველობის დანადგარებზე, ხე-ტყისა და ხის მასალებზე, ლითონპროდუქციაზე, ქსოვილებზე, ბენზინზე, დიზელის საწვავზე. სატრანსპორტო საშუალებებზე და ა. შ.

ვაჭრობაში მოსალოდნელია თბილისის უნივერსალური ბირჟის პარტნიორთა — ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის, ბალტიისპირეთის, შუა რუსეთის, ვოლგისპირეთის, შუა აზიისა და სხვა მსხვილი რეგიონების ბირჟების მონაწილეობა.

საბირჟო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეიძლება მხოლოდ თბილისის უნივერსალური ბირჟის საბროკერო ფირმების მეშვეობით.

ნუ დაკარგავთ უნიკალურ შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოთ საქართველოს პირველ საბირჟო ვაჭრობაში!

ცნობებისათვის დარეკეთ: 98-48-17, 98-44-48.

თბილისის უნივერსალური ბირჟა კონკურენტებისათვის მიუწვდომელია — იგი ყველაფერში პირველია!



## საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის წარმოებისაგან მოწყვეტით საბიბლიოთეკო საქმისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილებებზე (საგუნდო-სადირიჟორო და ქორეოგრაფიული).**

სასწავლებელი ამზადებს ბიბლიოთეკარებს, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სპეციალისტებს საგუნდო და ქორეოგრაფიული კოლექტივების ხელმძღვანელის სპეციალობით.

მსურველებმა განცხადებას დირექტორის სახელზე უნდა დაურთონ: საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086 უ), ოთხი ცალი ფოტოსურათი ზომით 3X4, ამონაწერი შრომის ან კოლმეურნის წიგნაკიდან, შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს (პირადობის ან დაბადების მოწმობას). ვაჟებმა უნდა წარმოადგინონ მიწერის მოწმობა.

საბიბლიოთეკო საქმის განყოფილებაზე შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ რაიონის ადგილობრივი ხელმძღვანელობის (პრეფექტურა, საკრებულო, კულტურის განყოფილება), შუამდგომლობა სასწავლებლის დამთავრების შემთხვევაში სპეციალობით სამუშაოზე მოწყობის გარანტიით.

შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, თხზულება), საქართველოს ისტორიაში (ზეპირი) საგუნდო-სადირიჟორო და ქორეოგრაფიულ სპეციალობებზე შემსვლელნი დამატებით აბარებენ გამოცდას სპეციალობაში.

საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობაზე ჩარიცხვისას უპირატესობა მიენიჭებათ მუსიკალური განათლების მქონე აბიტურიენტებს.

მისაღებ გამოცდებზე დადებითი შეფასებების მიღებისას კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან ობლები და მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვები, I და II ჯგუფის ინვალიდები, თადარიგში დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურენი.

საბუთები მიიღება 29 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე 11 საათიდან 14 საათამდე (გარდა შაბათისა და კვირისა).

**გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოდან.**

**დაწვრილებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ სასწავლებლის მიმღებ კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქუთაისი ფ. ვარლამიშვილის ქუჩა № 11. ტელ: 5-24-08, 5-67-20.**


## სანთლები არასოდეს ჩაქრება

**მეხის გავარდნას ჰგავდა შენი სიკვდილის ცნობა. არავინ დაიჯერა, დაზმირ ჯაზოთელს — სვანეთის მთებივით ამაყს და ძლიერს, რა მოკლავდა. ბრმა შემთხვევამ გიმსხვერპლა. ლომგულს კი გეძახდით და ტყვიამოუკარებელს. სიკვდილს შენთან რა ხელი ჰქონდა. აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ძნელბედობის ჟამს, პირველი გაჩნდი, ტყვიას წინ უდგებოდი, თავს არ ზოგავდი.**

**ხშირად მეგობრები გეტყოდით, რომელ პარტიას ეკუთვნით. ღიმილით, ომახიანად ჩაიბუბუნებდი: „მე, სვანეთის გულწვიადი მთების შვილი, საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მებრძოლ პარტიას ვეკუთვნით“.**

**როგორ გახაროდა, რა სულსწრაფად ელოდი 26 მაისის არჩევნებს, მაგრამ ბედმა გიმუხთლა და 8 მაისს დაასრულე სიცოცხლე. ასრულდა დაზმირ, შენი ოცნება, საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი პრეზიდენტი უდგას სათავეში.**

**მთელი სვანეთი გამოგეთხოვა, საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიოდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლი ვაჟკაცები, არ შეწყვეტილა შენს ცხედართან შენი საყვარელი სიმღერა „შავლეგო“.**

**29 ივნისს შენი დაბადების დღე ვიზეიმეთ. ძნელი იყო უშენობა...**

**შენ, სვანური კოშკივით ამაყი და წმინდა იყავ, შენ სიცოცხლეც სვანური კოშკი ამშვენებს, სადაც შენი ხსოვნის წმინდა სანთლები დავანთეთ.**

**ისინი არასოდეს ჩაქრება, დაზმირ!**

**შენი მეგობრები**

# აღორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.




## „270079 თეა“

### ვაჩუქოთ პატარას სიცოცხლე

პატარა თეა როყვას უყვარს სიცოცხლე, მზე, ყვავილები, ცეკვა, ჭადრაკი. იგი მოუსვენარი და ცელქი გოგონაა, ძალზე ემოციური, ხალასი. პატარაობიდანვე უყვარს წიგნი და ლექსები, ზეპირობდა „ვეფხისტყაოსანს“.

6 წლისა შევიდა დავით აღმაშენებლის სახელობის ბათუმის №1 საშუალო სკოლის პირველ კლასში. ხუთებზე სწავლობდა, მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, მეორე კლასში ავად გახდა, ერთხანს ვერ გაუგეს სატკივარი, 1989 წლის 17 მარტს თბილისში ოპერაცია გაუკეთეს.

ღვიძლის არეში ამოკვეთეს სიმსივნე 8X10სმ წარმონაქმანი, მკვრივი კონსტანციის ნაკლებად მოძრავი, მოთეთრო ფერის.

რეანიმაციული განყოფილების შემდეგ გადაიყვანეს თბილისის ონკოლოგიურ საავადმყოფოში დიაგნოზით: „განგლონეირობლასტომა“. დაენიშნა ქიმიური მკურნალობა.

თეა მკურნალობდა მოსკოვშიც, ერთი წელია ბავშვი წვალობს, ნერვიულობს, მისი პაწია, უსუსური ხელების ვენები ველარ უძლებს ნემსებს... ამოკვეთილი სიმსივნე კვლავ წამოიზარდა იმავე ადგილზე, იმავე სიდიდით.

რადგან ქიმიურმა პროცედურებმა შედეგი არ გამოიღო, ფიქრობენ ისევ ოპერაციულ ჩარევას.

პატარა თეას გასცვივდა ლამაზი, აბრეშუმივით თმა, დასუსტდა, ნერვიულობს, ოპერაციის მეორეჯერ გაკეთება შიშის ზარს გვცემს, მშობლებს, ახლობლებს, სკოლას.

თეას ექიმების მზრუნველი ხელი არ მოჰკლებია, მაგრამ მისთვის საჭიროა ღრმა კომპიუტერული კვლევა, რისი შესაძლებლობა ჩვენში არ არის და იმედად უცხოეთში წასვლა გვესახება, იქნებ იქ მაინც გაარკვიონ რა ეშველება ამ საშინელ დაავადებას და პატარა თეას სიცოცხლე შეუნარჩუნონ.

ძვირფასო თანამემამულენო! თეას უჭირს, იქნება თქვენი გულკეთილობაც დაგვეხმაროს, სითბო და მხარდაჭერა სჭირდება ბავშვს, საკმაო რაოდენობით თანხაა საჭირო საზღვარგარეთ მკურნალობისთვის.

თბილისისა და აჭარის ტელევიზიამ გაგაცნოთ თეა, ღიმილით რომ შემოგცქეროდათ ეკრანიდან, შველას თხოვს ქართველებს: საზოგადოებრიობის მოთხოვნით სპეციალური საქველმოქმედო ანგარიში გაიხსნა ბანკში. შეგახსენებთ: **„ბინსოცბანკი 270079, ქ. ბათუმი, თეა როყვა“.**

მუდამ ცრემლიან თეას დედას სჯერა, რომ უშველიან კეთილი ადამიანები, ღმერთი იყოს მათი მფარველი.

გთხოვთ საქართველოს მცხოვრებთ, ვისაც სურვილი და შესაძლებლობა აქვს, სპეციალურ ანგარიშზე ბინსოცბანკი **„270079 თეა“, სავალუტო ანგარიში: 640820228 საგარეო ურთიერთობის ბანკი, თბილისი, კოდი 521727 თეა როყვას სამკურნალოდ,** ბავშვის სამკურნალოდ გადარიცხოს, როგორც ვალუტა, ისე საბჭოთა ფული.

წინასწარ გიხდით მადლობას.

**თეას მისამართი: ბათუმი, ხიმშიაშვილის ქუჩა №3, ბინა 42, ტელ. 2-24-33.**


კო-პერატივი „აბიტურიენტი“ — ფირმა Konica ЮO-Bix გთავაზობთ ქსეროასლების გადამღებ მანქანებს, ტელეფაქსებს.

იაპონური ფირმა Konica ЮO-Bix-ის პროდუქცია გამოირჩევა განსაკუთრებული ხარისხით.

კოოპერატივ „აბიტურიენტის“ და ფირმა Konica ЮO-Bix-ის ერთობლივი **სარემონტო სახელოსნო** აწარმოებს ზემოთ აღნიშნული აპარატურის საგარანტიო რემონტს, სათადარიგო ნაწილების და სათანადო მასალების რეალიზაციას.

ჩვენი მისამართია: 380079, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი 25.



**მუშაობის საათები:**
$16^{00}$ საათიდან $20^{00}$ საათამდე
ყოველდღე, კვირის გარდა.

**„აბიტურიენტის“
გამგეობა.**

## გიწვევთ დასასვენებლად!

ტურისტული კოოპერატივი „ქრიზანთემა“ გთავაზობთ საგზურებს ციხისძირის, ჩაქვისა და მწვანე კონცხის ტურისტულ ბაზებში.

საგზურების ღირებულებაა: **ციხისძირი** — 20 დღით — 445 მან, 15 დღით — 333 მან, **ჩაქვი** — 20 დღით — 435 მან, 15 დღით — 326 მან, **მწვანე კონცხი** — 20 დღით — 450 მან, 15 დღით — 338 მან.

საგზურების შეძენა შეუძლიათ როგორც ორგანიზაციებს, ასევე კერძო პირებს ნაღდ ანგარიშზე ან გადარიცხვით.

დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ თბილისში შემდეგ ტელეფონზე: 31-47-76 ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, პრავდის ქ. № 67.

საგზურების შეძენა შეგიძლიათ შემდეგ მისამართზეც: ქობულეთის რაიონი, დაბა ჩაქვი, ბათუმის ქ. № 24. კოოპერატივი „ქრიზანთემა“ ტელეფონი: 74-8-70.

## გვეროდეთ გამოჯანმრთელდებით

ქუთაისის რეგიონალური განყოფილების მიერ თბილისიდან მოწვეულია სამკურნალო კაბინეტის „სალბუნის“ ხალხური მეთოდებით მკურნალები და ექსტრასენსი.

ცნობილი მირიანაშვილის მიერ დამზადებული სასწაულმოქმედი მალამოთი განკურნავენ შემდეგ დაავადებებს: **კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს, ტროფიულ წყლულს, ეროზიას, დამწვრობას, წითელ ქარს, მასტიტებს, ჩირქოვან ჭრილობებს, ქალურ დაავადებებს, გაიმორიტს, კანის ჩირქოვან დაავადებას. მალამო აჩერებს თმის ცვენას და ამოყავს კიდეც. მასაჟის საშუალებით ინკურნება რადიკულიტი, ოსტეოხონდროზი, მოზარდებში სკოლიოზი (ზრდასთან დაკავშირებით).**

**ბალახის ნაყენი საუკეთესოდ წმენდს ორგანიზმს ნალექისა და ჩირქისაგან, დადებითად მოქმედებს ნევროზზე (იქონიეთ ჭურჭელი). მკურნალობით დარჩებით კმაყოფილი.**

მისამართი: ფელიქს ვარლამიშვილის (ყოფილი ტელმანის) ქუჩა №3 ჩიხი №2-ში.
მიღება: ყოველდღე 9 საათიდან საღამოს 18 საათამდე.
დასვენების დღე კვირა.

## „სალბუნი“

### გიწვევთ სამკურნალოდ!

თვით მირიანაშვილი თავის მალამოთი, რომელიც გამოირჩევა მაღალი ეფექტიურობით მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: ტროფიულ წყლულს, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს, ეროზიას, დამწვრობას, წითელ ქარს, მასტიტებს, ჩირქოვან ჭრილობებს, ქალურ დავადებებს, გაიმორიტს, კანის ჩირქოვან დაავადებებს, მალამო აჩერებს თმის ცვენას, ამოყავს კიდეც. მასაჟით, ბიოველითა და მალამოთი იკურნება: რადიკულიტი, ოსტეოხონდროზი, მოზარდებში სკოლიოზი (ზრდასთან დაკავშირებით).

ბალახით იკურნება: ენურეზი (უნებლიე შარდვა ბავშვებში), ღვიძლი, საშარდე გზები, ნაღველი, თირკმელები, ნაწლავები, ანთება და სხვა.

**მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის №96-ში.
სპორტული კომპლექსი „განთიადი“.
მიღება ყოველდღე 9 საათიდან 18 საათამდე.**
დასვენების დღე კვირა.

ფირმა **„პრიზმა“** გთავაზობთ კომფორტაბელური ავტობუსებით გადაყვანას თურქეთში ტრაპიზონსა და სტამბულში, მათთვის ვისაც აქვთ კერძო მოწვევები თურქეთის რესპუბლიკიდან.

ჩვენი მომსახურეობის ხარისხი ბევრად მაღალია, თუმცა ფასი სხვებთან შედარებით ბევრად ნაკლები. მისადგომად ხელსაყრელ ადგილას მდებარეობს.

უახლოეს დღეებში შემოგთავაზებთ აგრეთვე საბერძნეთში ავტობუსით გადაყვანას თურქეთის გავლით.

მისამართი: **გამსახურდიას გამზირი №3/7. ტელეფონი: 36-77-72.**
ვმუშაობთ ყოველდღე $11^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე.
დასვენების დღე ორშაბათი.

მცირე საწარმო „შრომა“ დაგეხმარებათ შეიძინოთ სამრეწველო პარტია:
— ოლიფა ნატურალური K-3, K-4, K-5 300 ტონამდე.
— უაიტ-სპირიტი ГОСТ 3134-78 180 ტონამდე.
თითო გარიგება არანაკლებ 60 ტონისა.
ტელეფონი: 95-81-56.

## იყიდება

ფორტეპიანო „როსტოვ-დონი“
კონდენციონერი ბკ-1500
სარეცხი მანქანა „ჩაიკა“
მტვერსასრუტი „ვიხრი“
იატაკის საპრიალებელი ეპმ-2
დარეკეთ ტელეფონზე: 39-49-84.

მსუბუქი ავტომობილების მძღოლთა მოსამზადებლად ვაცხადებთ მიღებას. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა მოეწყობა როგორც დილის, ასევე საღამოს საათებში. მეცადინეობის ხანგრძლივობა თვენახევარია. კურსებს ხელმძღვანელობენ მაღალკვალიფიციური პედაგოგები და მძღოლ-ინსტრუქტორები. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სამედიცინო ცნობა (ფსიხო), 3 ფოტოსურათი ზომით 3X4 და პასპორტი.

აგრეთვე, სამუშაოდ ვიწვევთ მძღოლ-ინსტრუქტორებს, რომელთაც აქვთ შესაბამისად მოწყობილი ავტომანქანა. შრომის ანაზღაურება ხელშეკრულებით.

**მისამართი:** ახალქალაქის ქ. №2, 32-ე პროფტექსასწავლებელში, მეტროს სადგურ „ნაძალადევთან“.
მიღება $14^{00}$სთ-დან $19^{00}$სთ-მდე.
ტელეფონები: 66-14-90, 93-20-76.



ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მიხალები — 93-97-81;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-81-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ გალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.